# ალია

ნინო ბურჯანაძე:
„საქართველო ვერ შეძლებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებას, თუ ჩვენ არ ვაწარმოეთ ფართომასშტაბიანი მოლაპარაკება რუსეთთან!“

N137 /3067/ 18 სექტემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რა შემოუთვალა ვანო მერაბიშვილმა „ნაციონალებს“ ციხიდან?



## თუ „თავისუფალი ზონა“ არ გაუქმდება, „ჯოჯოხეთის მოწყობით“ ემუქრებიან




## სავალდებულო ავტოდაზღვევა 2015 წლის 1 მარტიდან აღარ ამოქმედდება?



## შალვა ნათელაშვილმა აშშ-ში ვიზიტისას ორი ადამიანი გადაარჩინა



## რას დაჰპირდა ლადო პაპავას დავით ნარმანია და რატომ სურს პრემიერთან შეხვედრა?

## სოციალურ ქსელში მიყენებული შეურაცხყოფა, ან მუქარა დასჯადი ხდება



## გამოძიებას დამატებითი ექსპერტიზა კიწმარიშვილის მკვლელის კვალზე გასასვლელად დასჭირდა?





# სავალდებულო ავტოდაზღვევა 2015 წლის 1 მარტიდან აღარ ამოქმედდება?

**სავალდებულო ავტოდაზღვევა მომავალი წლის 1-ლი მარტიდან ვერ ამოქმედდება, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიებსა და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს პროექტზე მუშაობა ჯერ არ დაუსრულებიათ.**

**როდიდან ამოქმედდება ავტოდაზღვევა, რას ითვალისწინებს კანონპროექტი და რა ვალდებულებები ექნებათ მძღოლებსა და სადაზღვევო კომპანიებს?**

**„ალიას“ ესაუბრება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ნიკოლაძე:**

– იცით, საქმე რა არის? ამ კანონის ამოქმედებას ახლავს ძალიან ბევრი გვერდითი მოვლენა, რომელიც ამ კანონს აამუშავებს. სიმართივისთვის რომ გითხრათ, შეეხება ე.წ. მწვანე ბარათის ბიუროს ამოქმედებას. ეს არის სტრუქტურა, რომელსაც აფინანსებენ სადაზღვევო კომპანიები თავიანთი პრემიიდან. ეს ბიურო გადაიხდის ზარალებს დაუზღვეველი, განუბაჟებელი, დაუდგენელი ან გატაცებული ავტომობილების მიერ მიყენებული ზიანის დროს. რა დააშავა დაზარალებულმა, თუკი მას დაეჯახება მანქანა, რომელიც განუბაჟებელი ან გატაცებულია? ან დაუდგენელი ავტომობილი დაეჯახა და გაიქცა და არ არის ამ ავტომობილის მფლობელის ვინაობა ცნობილი. შესაბამისად, ასეთი სტრუქტურის ფორმირება, რომელიც მთელ საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს, უკვე იწვევს გვერდით მოვლენებს სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. მეორე გვერდითი მოვლენაა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება, საპატრულო პროგრამასთან.

**— ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა, რომ მათი ავტომობილები უკვე 2015 წლის 1-ლი მარტიდან დაზღვეული უნდა ყოფილიყო. რა სტადიაშია კანონპროექტის მომზადება?**

– რთულ პროცესებთან გვაქვს საქმე. კიდევ ერთი გვერდითი მოვლენაა, გაფორმებისა და ღირებულებების საკითხი. პრემიის გამოთვლის საკითხს, რომელიც უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ, სჭირდება სპეციალური სადაზღვევო მათემატიკა. პრემიის გადასახადი დამოკიდებულია დაფარვის ღირებულებაზე. სიტყვაზე, თუ მილიონიანი ლიმიტით არის დაფარვა, ერთი პრემიაა, თუ ათმილიონიანით, მეორე პრემია და ა.შ. ახლა სწორედ ამაზე მიდის მუშაობა, რომ პარლამენტს რამდენიმე სცენარი შევთავაზოთ და მან შეარჩიოს საზოგადოებისთვის ყველაზე სასარგებლო და ოპტიმალური ვარიანტი. ის, რომელიც მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ეფექტური იქნება ასევე სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ანაზღაურების დროს.

მაგალითად, სომხეთში ქონებრივ ზარალზე მხოლოდ 6000-იანი ლიმიტია დაწესებული, გერმანიასა და საფრანგეთში ლიმიტი საერთოდ არ არსებობს. ანუ პირობითად რომ ვთქვათ, მილიარდიანი ზარალი რომ მიიღოს ადამიანმა, მილიარდი უნდა გადაიხადოს სადაზღვევო კომპანიამ. შესაბამისად, ამ ყველაფერს ძალიან ღრმა ანალიზი სჭირდება. პროექტის ჩონჩხზე მუშაობა დასრულებულია, ახლა მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები, დებულების ჩამოყალიბება, ეს ყველაფერი კი მიმდინარეობს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვინაიდან ამის რეგულირება მათი და სახელმწიფოს მხრიდან ხდება.

**— თუ არის განსაზღვრული, რა დაუჯდებათ ავტომობილის მფლობელებს მანქანის დაზღვევა?**

– ჯერ არ არის დადგენილი. ეს თანხები დამოკიდებულია ბოლო რამდენიმე წლის ყველა ავარიის, მათი შეფასების, ყველა სამედიცინო დაზიანების, ადამიანების გარდაცვალებებისა და ინვალიდობების რაოდენობის სტატისტიკაზე, რომელიც მოსაპოვებლადაც კი რთულია. ჩვენ მინიმუმ 3 ვარიანტს შევთავაზებთ პარლამენტს.

**— უხეში გათვლებით როდისთვის შეიძლება ველოდოთ პარლამენტში დოკუმენტის შესვლას?**

– ამ წლის ბოლომდე გაცილებით ცხად და ნათელ სურათს დავდებთ იმისთვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს პარლამენტმა, მე ვვარაუდობ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ყველა ტექნიკური საკითხი დასრულდება და შემდეგ უკვე მზაობა იქნება, რომ სიტყვაზე, ორი თვის შემდეგ უკვე რეალიზება დაიწყოს ამ კანონმა...

**— საქართველოში სადაზღვევო სფეროს მიმართ, საკმაოდ დიდი უნდობლობაა, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანს ჯანმრთელობის დაზღვევაც კი არ აუნაზღაურეს. გაქვთ პროექტში ისეთი მექანიზმი ჩადებული, რომ თანხა, რომელსაც გადაიხდიან, ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში უპრობლემოდ დაუფარავს სადაზღვევო?**

– იმდენად მნიშვნელოვანია ეს შეკითხვა, რომ მე ცოტა ფართოდ გიპასუხებთ... ჩვენ ვმუშაობთ გერმანული მოდელის მიხედვით, რომ საქართველოში დაფუძნდეს ე.წ. დაზღვევის ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება გარკვეულ ზღვრამდე უფასოდ განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები და ამ ბიუროს გადაწყვეტილება სადაზღვევო კომპანიებისთვის სავალდებულო იქნება. რაც შეეხება ამ კანონის ამოქმედებას, მე ვახსენე თანამდევი გეგმა, ე.წ. მწვანე ბარათი, ამ ბიუროში იქნება გამყიდველთა საბჭო, ასევე იურიდიული სამსახური, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისგან, ეკონომიკის სამინისტროსა და ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებისგან. ამ ბიუროს ამუშავება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან თქვენ რომ 1000-ლარიანი ზარალის გამო სასამართლოში წახვიდეთ, იქ გადასახდელი ბაჟი არის თქვენი გადასახადის ნახევარი. შესაბამისად, ბიურო 10 ათასამდე ზარალზე მოქალაქეების განცხადებას განიხილავს და მისი გადაწყვეტილება სავალდებულო შესასრულებელი იქნება სადაზღვევო კომპანიების მხრიდან. თუ მეტზე იქნებ საუბარი და დავა, იქ უკვე პრობლემა აღარ იქნება, წავიდეს თუ არ წავიდეს სასამართლოში.

**— თუკი ბიუროს გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარს იტყვის სადაზღვევო კომპანია, ამ შემთხვევაში რა ხდება, რით ისჯება სადაზღვევო კომპანია?**

– სადაზღვევო კომპანიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ დაზღვევაში მონაწილეობის უფლება მიიღოს. ეს არის მათი მხრიდან იმ „სოფტში“ ჩართულობა, რომელიც პოლისებთან ლიმიტის დამყარების უფლებას მისცემს. „სოფტი“ არის საშუალება პოლისის გაყიდვისა სადაზღვევოს მხრიდან. პოლისი არის მხოლოდ ელექტრონული, როგორც საჯარო რეესტრშია, გნებავთ ამობეჭდავთ, გნებავთ – არა. პოლისის შეძენა შეგიძლიათ სახლიდან, მაგალითად, როგორც ნებისმიერ ნივთს იწერთ და ყიდულობთ უცხოეთიდან. შეგიძლიათ ინტერნეტით ასევე გადარიცხოთ თანხა, ან მიბრძანდეთ სადაზღვევო კომპანიაში და იქ აიღოთ პოლისი, ანუ ყველა გზა არის ღია. შესაბამისად, თუკი სადაზღვევო კომპანია არ ემორჩილება ე.წ. დაზღვევის ომბუდსმენის ინსტიტუტის გადაწყვეტილებას, მას, უბრალოდ, გაეთიშება ამ „სოფტთან“ ურთიერთობა, ამ „სოფტის“ მფლობელი იქნება ეს ბიურო, შესაბამისად, თუკი რომელიმე სადაზღვევო კომპანია არ დაემორჩილება წესებს, ბიურო გათიშავს მას ქსელიდან და ბუნებრივია, მას აღარ ეყოლება არც ერთი კლიენტი. ეს იქნება მკაცრად გაკონტროლებული, ვინაიდან 14 სადაზღვევო კომპანია იქნება ამ პროცესში ჩართული, თუ ამ 14-დან ერთი ცუდად იქცევა და საქმეს აფუჭებს, ბუნებრივია, იმიჯი ილახება დანარჩენი 13 კომპანიისაც. შესაბამისად, თუ ვინმე არ დაემორჩილება წესებს, მას მიეცემა ერთი გაფრთხილება და ცუდი საქციელის შემთხვევაში ამოვარდება პროგრამიდან. ჩვენ წლის ბოლომდე დავასრულებთ ამ კანონზე მუშაობას, გავაცნობთ ექსპერტებს, საზოგადოების წარმომადგენლებს და შემდეგ უკვე შევა პარლამენტში. პარლამენტი კი ჩვენ მიერ შეთავაზებული რამდენიმე ვარიანტიდან მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ოპტიმალური იქნება მძღოლებისთვის.

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ე.წ. ბოშების ბაზრობაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულ 7 ოჯახს გამგეობა დაეხმარება



დიდუბის რაიონის გამგებლის ირმა ზავრადაშვილის განცხადებით, ხანძრის შედეგად ბაზრობის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავები დაზიანდა.

„ინფრასტრუქტურის სამსახურმა ჩაატარა მოკვლევა, რა სამუშაოები იყო ჩასატარებელი, ფორსმაჟორში მოვიყვანეთ სამშენებლო კომპანია, რომელმაც დაიწყო სამუშაოები და რის გასწორებაც შეიძლებოდა, ტენტით გაასწორა, რომ სახლებში წყალი არ ჩასულიყო. ახლა ჯგუფი მუშაობს და მოხდება სახურავის გადახურვა“, – განაცხადა გამგებელმა.

მისი თქმით, 7 ოჯახს დაეხმარებიან, რაც 18 151 ლარი დაჯდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო მსოფლიოში ყველაზე უბედურ ქვეყნებს შორისაა



% Thriving

| | % Thriving |
|---|---|
| Syria | 1 |
| Afghanistan | 1 |
| Haiti | 2 |
| Democratic Republic of the Congo | 3 |
| Chad | 5 |
| Madagascar | 6 |
| Uganda | 6 |
| Benin | 6 |
| Croatia | 7 |
| Georgia | 7 |

Source: Gallup-Healthways Global Well-Being Index. Based on surveys conducted in 135 countries and areas in 2013. Percentages

შესაბამისი რეიტინგი კომპანია Gallup Healthways-მა გამოაქვეყნა. რეიტინგში ქვეყნები შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება: მოქალაქეთა ეკონომიკური კეთილდღეობა, სოციალური დაცულობის გრძნობა, ახლობლებთან ურთიერთობა, ცხოვრების მიზანი და ფიზიკური ჯანმრთელობა.

რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა პანამაა. პირველ ათეულში, ასევე, კოსტა-რიკა, დანია, ავსტრია, ბრაზილია, სალვადორი, ურუგვაი, შვედეთი, კანადა და გვატემალა შევიდა. ყველაზე უბედურები კი სირიელები, ავღანელები, კონგოელები, მადაგასკარელები, უგანდელები, ხორვატები და ქართველები არიან.

კვლევების ავტორთა განცხადებით, შედარებით ღარიბი ლათინური ამერიკის ქვეყნების ტოპ-ათეულში მოხვედრას ადგილობრივმა მენტალიტეტმაც შეუწყო ხელი, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა ოპტიმისტია. აშშ რეიტინგში მეთოთხმეტე ადგილზეა. (ნიუპოსტი)

## საკვებად უვარგისი ფრინველის ხორცი გამომგზავნ ქვეყანაში დაბრუნდება



საბაჟო-გამშვებ პუნქტზე „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ უკრაინიდან შემოტანილ 20 000 კგ გაყინულ ქათმის ბარკალს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები ჩაუტარდა. აღმოჩნდა, რომ დარღვეული იყო ტრანსპორტირების პირობები, კერძოდ, ტემპერატურული რეჟიმი. საქონლის ფიზიკური შემოწმების დროს ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი უკან გაბრუნებას ექვემდებარება. (ინტერპრესნიუსი)



# რა შემოუთვალა ვანო მერაბიშვილმა „ნაციონალებს“ ციხიდან?

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე და დაანონსებულ შეთქმულებაზე მწვავე განცხადებებს აკეთებს:**

– „კვირის ქრონიკამ“ გიგი უგულავას სკანდალური წერილი გამოაქვეყნა, სადაც, შინაარსიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. სამართალდამცავი უწყების საქმეა მისი ავთენტურობის დადგენა, თუმცა ამას მოჰყვა „ალიაში“ შს მინისტრის სკანდალური ინტერვიუ, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი აპირებდა არაკონსტიტუციური გზებით სახელმწიფო გადატრიალებას. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით პროვოკაციების მოწყობას. გამოყოფილია 1 მილიარდი დოლარი ქვეყანაში დესტრუქციული ძალების დასაფინანსებლად. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, როგორ ავრცელებენ დეზინფორმაციებს, თითქოს დააყაჩაღეს კრიმინალური პოლიციის უფროსი, რაც არ დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

– ნიშანდობლივია, რომ ჩემი მოსაზრებები სტრატეგიაში „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე შეთანხმებულია, რომ მოხდეს სიტუაციის ესკალაცია, იყოს მართვადი ქაოსი, რომლებიც შემდგომში უნდა დაგვირგვინდეს გადატრიალებით. დღეს ჩვენ საპატიმროში გვიზის რამდენიმე მილიონერი, ესენი არიან: მერაბიშვილი, უგულავა, ახალაია... მაგალითად, მე მაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილი, რომელიც საპატიმროში უკვე ტირილზეა გადასული, იმდენად შეწუხებული და შეშინებულია იქ ყოფნით, პირდაპირ შემოთვალა, რომ მთელ თავის ქონებას, ანუ ჩვენთვის წართმეულ ფულს ერთ დროს სულ დახარჯავს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ის ციხიდან გამოვიდეს. ციხიდან გამოსვლის ერთადერთი შანსი კი მისთვის არის ხელისუფლების ცვლილება. მან მშვენივრად იცის, რომ ის საპატიმროში იქნება მანამ, სანამ ხელისუფლების სათავეში არის „ქართული ოცნება“. სხვათა შორის, ძალიან ბევრი დაესია მის ოჯახს კობა ხაბაზის მეთაურობით, რომელიც თავისუფალ ზონას ხელმძღვანელობს და ვანოს ოჯახს უმტკიცებს, რევოლუციას მოვაწყობთო და ვანოს ახევენ მოპარულ ფულებს. ამ ფულებით არიან ისინი

– დიახ, ეს პროცესი დაწყებულია, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავის დროზე „ნაციონალების“ სატელიტები, ვინც მათ პარლამენტში ჰყავდათ, ე.წ. „ნაცების“ „პადოშები“, დაკავებული არიან იმით, გადაიბირონ ყველა წვრილი პოლიტიკური ძალა... ეს პარტიები კონკრეტული თემის ირგვლივ ითანამშრომლებენ „ნაციონალებთან“, ისინი შეეცდებიან, შექმნან მოჩვენებითი ოპოზიციური კოალიცია, რომლის დამფინანსებელი იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალები“ მიდიან და პირდაპირ სთავაზობენ საკმაოდ სოლიდურ თანხებს იმისთვის, რომ რალა-



**„ვანო მერაბიშვილი, რომელიც საპატიმროში უკვე ტირილზეა გადასული, იმდენად შეწუხებული და შეშინებულია იქ ყოფნით, პირდაპირ შემოთვალა, რომ მთელ თავის ქონებას, ანუ ჩვენთვის წართმეულ ფულს ერთ დროს სულ დახარჯავს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ის ციხიდან გამოვიდეს. ციხიდან გამოსვლის ერთადერთი შანსი კი მისთვის არის ხელისუფლების ცვლილება“**

და შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაცია ერთმანეთს დაემთხვა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებას აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, იმიტომ რომ ის ყველაფერი, რაზეც მე უნდა ვისაუბრო, იმართება ქვეყნის ფარგლებს გარედან. მიხეილ სააკაშვილსა და მის ბანდას, ამ მომენტისთვის კიევში ოფისი აქვთ გახსნილი, სადაც რეალურად ხდება ყველა იმ შესაძლო მოქმედების დაგეგმვა და ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხების მოძიება, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოში. „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით პირდაპირი საუბრებია, რა გზებით აპირებენ პროვოკაციების მოწყობას.

განცხრომაში. ფაქტია, რომ მობილიზებულია დიდი ფული და ეს ფულები იხარჯება. მაგალითად, ავიღოთ ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მათთვის 10 მილიონ დოლარამდეა გამოყოფილი, რათა ბევრად უფრო ეფექტური გახდეს მათი მოღვაწეობა. მათი გეგმაა, ერთი მხრივ, ქუჩაში არეულობის მოწყობა, ყალბი ინფორმაციების გავრცელება, დატრენინგებული ახალგაზრდების გამოყვანა, არ გამოვრიცხავ, რომ მათ თვითონვე გამოასალმონ ვინმე სიცოცხლეს, რასაც შემდგომში ხელისუფლებას დააბრალებენ. მათთვის ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ხელისუფლების შიგნით ბზარების გაჩენა და განხეთქილების შეტანა. აი, ამ ორ ფრონტზე იბრძვის „ნაციონალური მოძრაობა“. მათი მთავარი გასაჭირია ის, რომ „ნაცმოძრაობა“ არის კეთროვანი, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად რაიმე ქმედება ოპოზიციისთვის კომპრომატად აღიქმება, ამიტომ „ნაციონალების“ ერთ-ერთი მიმართულება არის წვრილი ოპოზიციური პარტიების ყიდვა და მათი გადაბირება.

**— დაწყებულია ოპოზიციის გადაბირების პროცესი?**

ცა ტიპის თემატური თანამშრომლობა იყოს მათ შორის... მათი მიზანია, ჩამოერეცხოთ ის შავი ლაქა, რასაც ჰქვია „ცოცხების“ სკანდალური კადრები და მთელი რიგი დანაშაულებრივი ფაქტები, რამაც მსოფლიო დაშოკა. მათ სურთ არაადამიანური მოპყრობისა და წამების კადრების გადაფარვა, ამისთვის ელოდებიან ხელისუფლების საბედისწერო შეცდომას. ფაქტია, რომ სამართალდამცავ სისტემაში ბევრი რამაა გასაკეთებელი, კრიმინალთან ბრძოლაც გასაძლიერებელია, მაგრამ თუნდაც ერთი უდანაშაულო რომ მოჰყვეს, დამნაშავეებთან ერთად, ბადეში, ამას ხელისუფლებას არავინ არ აპატიებს. ამიტომ პირველ რიგში გასაწმენდია სამართალდამცავი სისტემა, ყველა იმ „ნაცნარჩენისგან“, რომლებიც არიან სისტემაში.

**— „ნაციონალები“ ოპერატიულად გადავიდნენ მოქმედებაზე, „რუსთავი 2“-ის გადაცემა „აქცენტებში“ მიდის ანონსი, როგორ ხდება ციხეში კრიმინალური გარჩევები და როგორ აღდგა „მაყურებლისა“ და „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი. სხვათა შორის, გადაცემის ავტორი აცხადებს, რომ**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უმცირესობა რაფალიანცის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს



ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეზე საპარლამენტო უმცირესობა საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. სერგო რატიანის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი.

„ეს საქმე „ქართული ოცნების“ სპეკულაციის საგანი იყო პირველივე დღიდან და ჩვენ ყოველგვარი მითითებებისა და სიბინძურის გარეშე წყნარად ვაყენებთ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს“, – განაცხადა რატიანმა.

უმრავლესობის ნაწილი მიიჩნევს, რომ რატიანის მხრიდან გაჟღერებული ეს ინიციატივა არის პოლიტიკური სპეკულაცია, თუმცა კომისიის შექმნის მომხრეა ვიქტორ დოლიძე.

„შევქმნათ ეს კომისია. ჩვენ, ევროკავშირია, ამერიკელი სენატორები თუ სხვა ვეუბნებით, რომ ჩამობრძანდნენ და ნახონ რეალურად რა ხდება ქვეყანაში“, – განაცხადა დოლიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით კი რეგლამენტის გათვალისწინებით კომისიის შექმნის აუცილებლობა არ არსებობს.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა დღის წესრიგში შეიტანეს და ამ საკითხზე უკვე პლენარულ სხდომაზე იმსჯელებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქობულეთში მუსლიმანთა პანსიონში სწავლის დაწყება კვლავ ვერ ხერხდება



ქართველ მუსლიმანთა პანსიონის გარდა, სასწავლო პროცესი საქართველოში ყველგან დაიწყო. ქობულეთში მოსახლეობის ნაწილი 24-საათიან რეჟიმში მორიგეობს და მოსწავლეებს შენობაში არ უშვებს.

სწავლა პანსიონში 15 სექტემბერს უდნა დაწყებულიყო, თუმცა აქციის მონაწილეებმა პერიმეტრი ხის ბარიკადებით და საბურავებით შემოსაზღვრეს.

16 სექტემბერს ღამით, მრევლმა ერთობლივი ლოცვა აღავლინა და მუსლიმანებს ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდა. ქობულეთში შექმნილ ვითარებაზე ბათუმში მართლმადიდებელთა და მუსლიმანთა წარმომადგენლები იმსჯელებენ. (ნიუპოსტი)

## პარლამენტის დაფინანსება მცირდება




მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა მცირდება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა 1 155.6 ათასი ლარის ოდენობით მცირდება და აღნიშნული თანხა მიმართული იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში. კომიტეტის უმრავლესობამ საკითხს მხარი დაუჭირა, ოპოზიციამ – არა. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

**ეს სკანდალური კადრები ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანმა მიაწოდა. ამ პიარკამპანიიდან რას უნდა ველოდოთ?**

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“, რომელიც კონტროლდება „ნაცმოძრაობისგან“, მათ ერთ-ერთ მთავარ აქტივისტს, ვინმე ირაკლის, სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს, აქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი კრიმინალებთან და ქურდულ სამყაროსთან. ასევე, ჩემთვის კარგადაა ცნობილი ისიც, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ უკრაინაში შეხვდა კრიმინალურ ავტორიტეტებს, ანუ „კანონიერ ქურდებს“ და მათ უთხრა, რომ თავის დროზე დაუშვა შეცდომა და თუკი სააკაშვილს დახმარებას აღმოუჩენენ, მომავალ საქართველოში გარკვეულწილად მათი ადგილი იქნება, იმიტომ რომ „კანონიერი ქურდები“ თვით რუსეთშიც კი შეზღუდულები არიან. თითქმის ყველა ის ე.წ. მაყურებელი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დროს არსებობდა, იყო ადმინისტრაციისგან დანიშნული, რომელიც თანამშრომლობდა შესაბამის ორგანოებთან, კუდ-თან, სოდ-თან და ა.შ. რეალურად „ნაცმოძრაობას“ ჰყავს თავისი აგენტურული ქსელი კრიმინალურ სამყაროში და რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებენ. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ „რუსთავი 2“-ზე გასული კადრები არის წმინდა სახის ფაბრიკაცია, რომელშიც მონაწილეობენ გარკვეული კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებიც „ნაციონალების“ დროინდელი კუდ-ისა და სოდ-ის აგენტები არიან.

ის ინფორმაცია, რომ ეს კადრები ვინმემ შსს-დან მიაწოდა, გარკვეულწილად შს სამინისტროში არეულობის შეტანის მცდელობაა და ძალიან მარტივი გასაშიფრი სქემაა, თუმცა ისინი, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეზე იმუშავებენ, ასე ადვილად არ გაიშიფრავენ თავს. მათი გაშიფვრა ისევ და ისევ ჭიკაიძის უწყების საქმეა. იმასაც ნუ ვიტყვით, რომ ქუჩაში სიტუაციას „ნაცები“ არ მართავენ, დიახ, მე შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ბევრი კრიმინალური შემთხვევა, რომელიც ქვეყანაში ხდება, არის „ნაციონალების“ მხრიდან პროვოცირებული. „ნაციონალები“ მიდიან იგივე გზით, რითაც ისინი ყოველთვის მიდიოდნენ. უჩინარი ხელი საქართველოსა და უკრაინაში ერთნაირად მართავს პოლიტიკურ სიტუაციას.

**— ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ ახალ წლამდე გააქტიურდება. რა პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

– ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი დღეს არის ივანიშვილის ფაქტორი და ის ნდობა, რომელიც 2012 წელს საქართველოს მოსახლეობამ ივანიშვილს გამოუცხადა. არა მარტო ბიძინა ივანიშვილი, არამედ მთელი საზოგადოება უნდა აღდგეს და დადგეს ერთადერთი მოთხოვნით, რომ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები აღარ იყვნენ ქართულ პოლიტიკაში.

აქვე გეტყვით, რომ ძალიან სამწუხაროა პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირება, ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ვეცდები, პატივისცემით მოვეპყრო საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ არ მომწონს ბევრი რამ, რაც ხდება, კერძოდ, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია უქმნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ალბათ, პრეზიდენტი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ასეთი დაპირისპირება სააკაშვილისა და მისი მომხრეების წისქვილზე ასხამს წყალს. სწორედ მათი ამოცანაა, რომ ბზარი იყოს ხელისუფლებაში, ასევე მათ სურთ, რომ საპარლამენტო გუნდში მოხდეს დაპირისპირება.

**— არც საპარლამენტო გუნდია ძლიერი და არც ისაა სწორი, როცა მხარეები არ თმობენ პოზიციას და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ჩვენ ვხედავთ გაუთავებელ ბრძოლას, სახეზეა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები. რა არის გამოსავალი?**

– „ქართული ოცნება“ არ არის ძლიერი გუნდი, ის დაკომპლექტებულია ცნობილი მსახიობებით, სპორტსმენებით და პარტია სულ ათამდე პოლიტიკოსს ითვლის, დანარჩენები პოლიტიკაში ისეთი ძლიერები არ არიან, როგორიც თავიანთ საქმეში. ამ დროს, როცა ხდება ბზარის გაჩენა საპარლამენტო გუნდში, რა თქმა უნდა ეს თავიდან ბოლომდე არის „ნაცმოძრაობის“ ოცნების ასრულება. „ნაციონალების“ ოცნებას ასრულებს მურმან დუმბაძის გუნდი, მე არ ვამბობ, რომ დუმბაძე შეკრულია „ნაციონალებთან“, მაგრამ მისი გუნდი, ფაქტია, „ნაციონალების“ ოცნებას ასრულებს. ჩემი პოლიტიკაში ყოფნის მანძილზე ბევრი რამ მინახავს, არც დუმბაძის გასვლა გამკვირვებია „ქართული ოცნებიდან“, მაგრამ როცა ეს პარტია შენ არ შეგიქმნია და ზუსტად იცი, რომ ხმა მისცეს ბიძინა ივანიშვილს და არა შენ, ამიტომ სწორი ნაბიჯი იქნება, რომ დუმბაძემ თავად დატოვოს საპარლამენტო მანდატი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აჩუქა, ასევე პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტი, რომელიც ივანიშვილმა აჩუქა, აჭარის უზენაესი საბჭოს წევრებმა ასევე დატოვონ მანდატები, რომლებიც მათ ასევე ივანიშვილმა აჩუქა, რადგან ისინი მიდიან ივანიშვილის გუნდიდან და გააგრძელონ თავიანთი ოპოზიციური საქმიანობა პარლამენტს გარეთ. დაელოდონ ორ წელს საპარლამენტო არჩევნებამდე და სხვისი დახმარების გარეშე მოიპოვონ გამარჯვება. ეს იქნება ერთადერთი სწორი და ზნეობრივი ნაბიჯი, სხვა დანარჩენი მათი მხრიდან იქნება თაღლითობა.

**— თქვენი ლოგიკით პრეზიდენტიც უნდა გადადგეს...**

– თუკი პრეზიდენტი არ ეთანხმება ივანიშვილის და მისი გუნდის პოზიციებს, მაშინ პრეზიდენტის ერთადერთი ზნეობრივი, ვაჟკაცური და ლოგიკური ნაბიჯი იქნება, რომ გადადგეს. პრეზიდენტიც არის არჩეული ბიძინა ივანიშვილისთვის მიცემული ხმებით, კეთილი ინებოს გადადგეს, დაელოდოს საპრეზიდენტო არჩევნებს და თუ მას ხალხი ხმას მისცემს, ღმერთმა გაუმარჯოს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22



„ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი დღეს არის ივანიშვილის ფაქტორი და ის ნდობა, რომელიც 2012 წელს საქართველოს მოსახლეობამ ივანიშვილს გამოუცხადა. არა მარტო ბიძინა ივანიშვილი, არამედ მთელი საზოგადოება უნდა აღდგეს და დადგეს ერთადერთი მოთხოვნით, რომ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები აღარ იყვნენ ქართულ პოლიტიკაში“



„ის ინფორმაცია, რომ ეს კადრები ვინმემ შსს-დან მიაწოდა, გარკვეულწილად შს სამინისტროში არეულობის შეტანის მცდელობაა და ძალიან მარტივი გასაშიფრი სქემაა, თუმცა ისინი, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეზე იმუშავებენ, ასე ადვილად არ გაიშიფრავენ თავს. მათი გაშიფვრა ისევ და ისევ ჭიკაიძის უწყების საქმეა“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსთავის №6 დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა



რუსთავის №6 დაწესებულებაში საკანში გარდაცვლილი პატიმარი იპოვეს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით:

„16 სექტემბერს 08:15 საათზე სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორმა ინსპექტორმა რიგითი შემოვლის დროს 1963 წელს დაბადებული მსჯავრდადებული ზ.ს. გარდაცვლილი იპოვა. წინასწარი მონაცემებით, მსჯავრდადებულმა საკანში თავი ჩამოიხრჩო.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით. გამოძიებას პროკურატურის ზედამხედველობით აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტი.

სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გარდაცვლილი გადასვენებულია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საგარეო უწყება სააკაშვილის სახელზე გამოგზავნილ მიწვევას ასაჯაროებს



საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს სამიტზე შეცდომით მიხეილ სააკაშვილის სახელზე გამოგზავნილ მიწვევას ასაჯაროებს.

„საზოგადოების მხრიდან არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ვასაჯაროებთ მიმდინარე წლის 14 მარტს გაეროს სამდივნოს მიერ გაეროში საქართველოს წარმომადგენლობაში გაგზავნილ მოსაწვევს კლიმატის ცვლილების შესახებ სამიტზე დასასწრებად, სადაც შეცდომით იყო მითითებული ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. თავად მოსაწვევი დათარიღებულია 25 თებერვლით, სპეციალური შტამპი მიუთითებს, რომ ის საქართველოს მისიაში შემოსულია 14 მარტს. გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლობამ მიმართა გაეროს სამდივნოს, შეესწორებინა შეცდომა, რის შემდეგაც სამდივნომ გამოაგზავნა ხელახალი მოწვევა, ამჯერად პრეზიდენტ მარგველაშვილის სახელზე, ეს წერილიც დათარიღებულია 25 თებერვლით და შესწორებული ვერსია საქართველოს მისიაში შემოვიდა 30 მაისს, 5 ივნისს კი უკვე გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას“, – ნათქვამია განცხადებაში (ნიუპოსტი)

## მსჯავრდადებულმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა



მსჯავრდადებულმა კუკური სალბიშვილმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ერთ შემთხვევაში მან საკუთარი რეკორდი 8 ერთეულით გააუმჯობესა და ამჯერად 25 აზიდვა გააკეთა, მეორე შემთხვევაში კი, იოგას ერთ-ერთ პოზაში, რომელსაც „ბაკასანა“ ეწოდება, 42 აზიდვა შეასრულა.

სპორტული ღონისძიება ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საქართველოს რეკორდების ფედერაციის ორგანიზებითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა.

როგორც საქართველოს რეკორდების ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ბეგიაშვილმა აღნიშნა, სალბიშვილის დამყარებული რეკორდი უპრეცედენტოა მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ კუკური სალბიშვილმა სარეკორდო მაჩვენებელი უკვე მეორედ გააუმჯობესა. მსჯავრდადებულმა შარშან მარჯვენა ხელის ორი თითით, წუთში 49 აზიდვა, ხოლო ერთი თითით 17 აზიდვა შეასრულა. აღნიშნული რეკორდი უკვე შესულია აზიის რეკორდების წიგნში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# სოციალურ ქსელში მიყენებული შეურაცხყოფა, ან მუქარა დასჯადი ხდება





„ერთმა „ნაციონალმა“ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პრემიერ-მინისტრის მეუღლის, ნუნუკა თამაზაშვილის ფოტო დადო, შემდეგ ეს ფოტო თითქმის ყველა „ნაციონალმა“ აიტაცა და დაიწყეს სიბინძურეების წერა, რომლის გამეორებასაც არ ვაპირებ. ამ ფაქტმა არაერთი ცნობილი ადამიანი გამოიყვანა მოთმინებიდან“

როგორც ჩანს, „ნაციონალებისთვის“ წმინდა ალარაფერი დარჩა – არც ოჯახი, არც ცოლი, არც შვილი და არც ხატი. რამდენიმე დღის წინ ერთმა „ნაციონალმა“ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პრემიერ-მინისტრის მეუღლის, ნუნუკა თამაზაშვილის ფოტო დადო, შემდეგ ეს ფოტო თითქმის ყველა „ნაციონალმა“ აიტაცა და დაიწყეს სიბინძურეების წერა, რომლის გამეორებასაც არ ვაპირებ. ამ ფაქტმა არაერთი ცნობილი ადამიანი გამოიყვანა მოთმინებიდან, მაგრამ ყველაზე დიდი აჟიოტაჟი მაინც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, მანანა კობახიძის კომენტარს მოჰყვა:

„როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დაგიდებენ ეს ვითომკაცები, სინამდვილეში არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი, მერე მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მერე არ გვითხრას ვინმემ, კრიმინოგენური ვითარება დამძიმდაო, შეურაცხყოფისა და ლანძღვის თმენის ვალდებულება ნამდვილად არ აქვთ ადამიანებს. ისე, პოლიტიკოსიც ადამიანია!“

სამწუხაროდ, ჩვენი არასამთავრობოების დიდი ნაწილი ცალმხრივად მიუდგა საკითხს და პარლამენტის ვიცე-სპიკერი ძალადობის წახალისებაში დაადანაშაულა:

„პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსსა და საჯარო პირს, სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, აქვს საჯარო კრიტიკის, მათ შორის, უსაფუძვლო თავდასხმის მიმართ თმენის ვალდებულება და ეს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სამართლებრივი პრინციპია. აღსანიშნავია, რომ სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან, ან ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელია, შოკისმომგვრელი და ამაღელვებელი. მანანა კობახიძის განცხადება აჩენს შესაძლებლობას, ის წავიკითხოთ, როგორც მუქარა პოლიტიკური ოპონენტებისა და განსხვავებული კულტურული ფასეულობების მქონე ადამიანების მიმართ, ვისაც შეურაცხმყოფელი კომენტარი გაუკეთებია პირადად მისი ან მისი თანამოაზრეების შესახებ. გარდა ამისა, მანანა კობახიძის განცხადება, ქალს წარმოაჩენს, როგორც არასრულფასოვან არსებას, რომელსაც თავად არ შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და დამოკიდებულია

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ნინო ბურჯანაძე: „საქართველო ვერ შეძლებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებას, თუ ჩვენ არ ვაწარმოეთ ფართომასშტაბიანი მოლაპარაკება რუსეთთან!“

**„დღევანდელი ხელისუფლებისთვის, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, მთავარია, შეინარჩუნოს ძალაუფლება ნებისმიერ ფასად, ტერიტორიების დაკარგვის, ქვეყნის დაკნინების ფასად!“**



პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, რომელიც მან დღეს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა, ქვეყნის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდება.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ უმალავს საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის რეალურ მდგომარეობას და ვირტუალური მოლოდინის რეჟიმში აცხოვრებს.

„მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ ფარსს, რომელსაც ახლა მთელი საქართველო უყურებს. მაშინ, როდესაც ქვეყანა უმნიშვნელოვანესი გამოწვევების წინაშე დგას, ჩვენი მთავრობა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კინკლაობით და ნაცრის ქექვითაა დაკავებული. არც ერთ ამ სტრუქტურას არ სცალია იმისთვის, რომ ქვეყნის პრობლემებზე იფიქროს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მათი მთავარი ამოცანა ერთმანეთისთვის ხელის გადაგრეხა და ერთმანეთის ქილიკია. ამასობაში კი ქვეყნის მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, **სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია „ნაციონალური მოძრაობის“ გზა – დაუმალოს საქართველოს მოსახლეობას რეალური მდგომარეობა, აცხოვროს ვირტუალური მოლოდინის რეჟიმში და კვლავ აქციოს ჩვენი ქვეყანა სუპერსახელმწიფოების ურთიერთდაპირისპირების პოლიგონად. საქართველოს ინტერესებზე საზრუნავად კი, დღეს ჩვენს ხელისუფლებას არ სცალია“,** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის თქმითვე, ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ნატოს-ს უელსის სამიტზე პირდაპირ დასამარდა ის მოლოდინი, რაც ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსახლეობის ნაწილს ჰქონდა.

**„ფაქტია, რომ საქართველო ვერ გახდება ნატო-ს წევრი და ფაქტია, რომ ამ თემაზე, საქართველოს მოსახლეობას, ხელისუფლება სიმართლეს უმალავს. საქართველოს ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს ქვეყნის ინტერესებზე ზრუნვა და ის, რომ გაატაროს არა სხვა სახელმწიფოს ინტერესები, არამედ იზრუნოს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ამოცანა უნდა იყოს არა რომელიმე ახალი ბაზის გახსნა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ საქართველოს ტერიტორიების ნებისმიერი ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ბაზებისგან განთავისუფლება.**

**საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს უმძიმესი ვითარების წინაშე, თუ ის პოლიტიკა გაგრძელდა, რასაც დღევანდელი ხელისუფლება აწარმოებს. საქართველო შეიძლება კიდევ უფრო მეტად გახდეს ორი სუპერსახელმწიფოს დაპირისპირების პოლიგონი, ქვეყანა გახდეს ტერიტორია, სადაც იქნება ორი დაპირისპირებული ბანაკის ბაზები და ქვეყანა ორ ნაწილად გაიხლიჩება“,** – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, საქართველო უკვე დიდი ხანია კარგავს ტერიტორიებს და ეს დღევანდელი ხელისუფლების ხელშიც გრძელდება.

საქართველოს დე ფაქტო რუკა დღითი დღე პატარავდება, ამისთვის კი ჩვენს ხელისუფლებას არ სცალია.

„დიახ, **არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოში რეალურად შეიცვალოს პოლიტიკა. ჩვენ გვატყუებენ, რომ ქვეყანა პრობლემებს აგვარებს, რომ ქვეყანა ბაზარს ხსნის და ქართველი გლეხი თავისი შრომის ანაზღაურებას მიიღებს. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ექნება დალაგებული პოლიტიკური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებულ ვითარებაში ქვეყანა ვერ განვითარდება, ვერ მიაღწევს ვერც ეკონომიკურ წინსვლას და ვერც სტაბილურობას, თუ ქვეყნის ხელისუფლება არ შეიცვლება და ქვეყანაში არ მოვა ძალა, რომელსაც აქვს უნარი, კომპეტენცია, გამოცდილება და გამბედაობა, რეალურად შეცვალოს ქვეყნის პოლიტიკა ისე, როგორც ეს ჩვენს სამშობლოს სჭირდება და არა რომელიმე სახელმწიფოს.**

**პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ამას ეს ხელისუფლება ნამდვილად ვერ გააკეთებს, იმიტომ რომ არის ხელისუფლება რომელიც ყოველთვის უკან იხედება, ვინ რას იტყვის, ყოველთვის სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას. საქართველომ რეალურად უნდა აირჩიოს საკუთარი უსაფრთხოებისა და საკუთარი განვითარების გზა. ამისთვის აუცილებელია ნორმალური ურთიერთობა ყველა პარტნიორთან, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელია ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყება რუსეთთან, რასაც ეს ხელისუფლება ვერ ბედავს“,** – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

როგორც „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა განაცხადა, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ ხელისუფლების ხელში საქართველო ვერ შეძლებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებას.

**„ჩვენს წინაშე არსებული ყველა ამოცანის შესრულებას, ქვეყანაში შეძლებს მხოლოდ ერთადერთი პოლიტიკური ძალა და ეს სწორედ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობაა“. ჩვენ ვხედავთ იმას, რა სტრატეგია აირჩია დღევანდელმა ხელისუფლებამ. დღევანდელი ხელისუფლებისთვის, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, მთავარია, შეინარჩუნოს ძალაუფლება ნებისმიერ ფასად, ტერიტორიების დაკარგვის, ქვეყნის დაკნინების ფასად“.** განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს „ნაციონალური მოძრაობის“ გაცოცხლებისა და ქვეყანაში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების მიზანმიმართული პოლიტიკა, რომ საქართველოს მოსახლეობას დაუტოვონ მხოლოდ ორი არჩევანი – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“.

„გამოკვეთილია საარჩევნო სტრატეგია: მოსახლეობას აშინებენ, თუ ჩვენ არ დაგვიჭერთ მხარს, ამით ხელს შეუწყობთ „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნებასო. „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ!“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ქვეყანა ყოველდღიურად კარგავს გამთლიანების შანსებს.

**„თუ ქვეყანაში ვითარება უსწრაფესად არ შეიცვალა, თუ ხელისუფლება გააგრძელებს იმას, რასაც ახლა აკეთებს, როდესაც ურთიერთდაპირისპირებისა და ნაცრის ქექვის რეჟიმზეა გადასული, ქვეყანა უმძიმესი რეალობის წინაშე დადგება. ჩვენი ქვეყნის გამთლიანების შანსები, ჩვენი ქვეყნის რეალურად სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შანსები ყოველდღიურად მცირდება და დღესაც ნათლად გამოჩნდა, რომ განგაშის ზარის შემოკვრის დროა!“** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

*მეხუთე გვერდიდან*

მისი ოჯახის წევრი კაცების ქცევაზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით შემაშფოთებელია გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელის მხრიდან და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული გენდერული პოლიტიკის განხორციელებას“.

მე პირადად ძალიან ბევრი სულელური განცხადება წამიკითხავს, მაგრამ ასეთი – არასოდეს. თურმე ქალი არასრულფასოვანია, როცა ის დამოკიდებულია მისი ოჯახის წევრი კაცების ქცევაზე და ეს საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული გენდერული პოლიტიკის განხორციელებას, ანუ საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, ძირს უთხრის საქართველოს ინტერესებს (ვაი, თქვენს პატრონს!); თურმე ის „ნაციონალები“, რომლებიც ათასგვარ სიბინძურეს აფრქვევენ პრემიერ-მინისტრის მეუღლის მისამართით, განსხვავებული კულტურული ფასეულობების მქონე ადამიანები არიან. შეიძლება პარლამენტის ვიცე-სპიკერს ცოტა სხვანაირი შინაარსის განცხადება უნდა გაეკეთებინა, შეიძლება ასეთი ხისტი კომენტარი მართლაც არ იყო საჭირო, მაგრამ არც „ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფს“, არც „ქალთა ფონდს“, არც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“, არც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს“, არც „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს“, არც „მედიის განვითარების ფონდს“, არც „საქართველოს რეფორმების ასოციაციას“, არც „იდენტობას“ და არც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ არ დაუგმია ის ფაქტი, რაც განცხადების გაკეთებამდე მოხდა, პირიქით, ყველა ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ ბინძური ადამიანები კულტურული ფასეულობების მქონე პირებად მონათლა. იმ არასამთავრობოების ნაწილი, რომლებმაც თავი გაიგიჟეს, პირდაპირ თუ ირიბად იმართებიან „ნაციონალური მოძრაობიდან“. მაგალითად, „საქართველოს რეფორმების ასოციაციას“ ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, შოთა უტიაშვილი.

**უნდა შეიქმნას თუ არა კიბერპოლიცია, რომელიც შეურაცხმყოფელ განცხადებებს მოიკვლევს და მის ავტორ ბინძურ ადამიანებს დასჯის? ამ თემაზე „ალიას“ თავად მანანა კობახიძე ესაუბრება:**

– იპოვეს ახალი სკანდალი „ნაციონალებმა“. ინტერნეტში გაავრცელეს ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლის ფოტო, ქალს შეურაცხყოფას აყენებდნენ მიზანმიმართულად, რათა ვინმე წამოეგოთ პროვოკაციაზე. რა თქმა უნდა, ხელისუფლების წევრები ვალდებული ვართ, კრიტიკა მოვისმინოთ, ბევრი რამ მოვითმინოთ, ბევრი რამ ავიტანოთ. როცა პოლიტიკაში მიდიხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი სცდება ადამიანურობის ფარგლებს, უნდა აილაგმოს. მე ასეთი ჯგუფებისგან არ ვითხოვ განსაკუთრებულ ზრდილობას, ამაზრზენი სიბინძურე არ უნდა ვრცელდებოდეს. თან საკუთარი გვარსახელებით შემოდიან და აწყობენ პროვოკაციებს. მე ვერ დავეთანხმები იმ ექსპერტებსა და „ენჯეოებს“, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თურმე უკიდეგანოა გამოხატვის თავისუფლება, თურმე ვიღაცებს შეუძლიათ, ნებისმიერი სახის შეურაცხყოფა მოგვაყენონ და ჩვენ ეს უნდა ვითმინოთ. ასე არ არის, ეს არის არასწორი ინტერპრეტაცია. არსებობს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც იცავს ადამიანის უფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ამ მუხლსაც აქვს ფარგლები – არ შეიძლება, ადამიანს პირადი შეურაცხყოფა მიაყენო მუდმივად და ეს დარჩეს უპასუხოდ. შენ შეიძლება თქვა, რომ მანანა კობახიძე უნიჭო პოლიტიკოსია, ამაზე არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ, როცა უხამს გამონათქვამებზე გადადიხარ, ეს უკვე აღარ არის გამოხატვის თავისუფლება. ამ ახლად გამომცხვარ „ენჯეოებს“ იმაზე კი არ აქვთ პრეტენზია, საიდან მოდის სოციალურ ქსელებში ამდენი ბოღმა და სიძულვილი, აქეთ მარიგებენ ჭკუას. ეს „ენჯეოები“ არის „ნაცებისგან“ შექმნილი, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ, ადამიანი წყობიდან გამოიყვანონ.

**— ხომ არ დადგა დრო, რომ შეიქმნას კიბერპოლიცია? რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს იმის საშუალება, აგინოს ადამიანებს, მიაყენოს შეურაცხყოფა და ის დაუსჯელი დარჩეს?**

– რა თქმა უნდა, ჩვენი, ყველას უფლებაა, რომ ასეთი სიბინძურისგან ვიყოთ დაცული. მე უნდა მქონდეს საშუალება, ასეთ დროს პოლიციას მივმართო განცხადებით და დაიწყოს გამოძიება. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ჩემს ტელეფონზე მოდიოდა შეურაცხმყოფელი შეტყობინებები, მივმართე პოლიციას და სამ დღეში სიმაღლის მიხედვით შემორეკეს გამომძიებლის კაბინეტში დამნაშავეები. ისინი ან სოლიდური თანხებით უნდა დაჯარიმებულიყვნენ, ან, სულ მცირე, თითო წლით წასულიყვნენ ციხეში. ვინაიდან მათ წერილობით მოინანიეს და ბოდიშები იხადეს, ჩემი ნებართვით გაათავისუფლეს. ასე უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც, რა მნიშვნელობა აქვს, რა ფორმით მომაყენებს ვიღაც ვიგინდარა შეურაცხყოფას?

**— კი, ბატონო, თქვენ გაქვთ თმენის ვალდებულება, მაგრამ ხომ შეიძლება, მე მართლა შუბლი გავუხვრიტო ვიღაცას?**

– სხვათა შორის, მარტო მე არ მაქვს თმენის ვალდებულება, თუ მე ვარ საჯარო მოხელე, თქვენ ხართ, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, საჯარო პირი. მე არ ვახალისებ არავითარ შურისძიებას, ეს არის რეალობა, შეიძლება ადამიანი რაღაც მაპროვოცირებელი ქმედების შედეგად მართლა მივიდეს იქამდე, რომ ვიღაცას შუბლი გაუხვრიტოს. კიბერდანაშაული კანონით ჩვეულებრივი დანაშაულია და ისჯება სხვადასხვა სახით. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიდის სერიოზული მუშაობა, რომ ასეთი დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის მექანიზმები დაიხვეწოს. მე არ ვფიქრობ, რომ აქ რაიმე საკანონმდებლო ცვლილებებზე უნდა იყოს საუბარი, ალბათ, უფრო საჭიროა მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების დახვეწა. თუმცა თუ კანონში ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო, არც ეს არის პრობლემა, ამ საქმესაც მოვერევით.



**„თუ ვინმემ ინტერნეტსივრცეში მოგაყენათ შეურაცხყოფა, ან დაგემუქრათ, თუ თქვენ გახდით კიბერთავდასხმის მსხვერპლი, ან ფლობთ ინფორმაციას კიბერდანაშაულის თაობაზე, გთხოვთ, მიმართოთ განცხადებით პოლიციას, ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 112 — უფასო ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში, ტელ: 2 41 12 96; 2 41 17 67“.**




**„ამ ახლად გამომცხვარ „ენჯეოებს“ იმაზე კი არ აქვთ პრეტენზია, საიდან მოდის სოციალურ ქსელებში ამდენი ბოღმა და სიძულვილი, აქეთ მარიგებენ ჭკუას. ეს „ენჯეოები“ არის „ნაცებისგან“ შექმნილი, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ, ადამიანი გამოიყვანონ წყობიდან“**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის განმარტება:**

„კიბერდანაშაულის საკითხების მთავარ მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს 2001 წლის კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2012 წელს მოახდინა. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კიბერსივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლის დასჯადად გამოცხადება ევალება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს. ამასთანვე, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, შექმნან კიბერდანაშაულთან ბრძოლის შიდა ეროვნული სპეციალიზებული დანაყოფები. საქართველოში კიბერდანაშაულის დასჯადობის საკითხებს არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს კიბერსივრცეში ჩადენილი შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემისა და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა. აღნიშნულთან ერთად, დანაშაულს წარმოადგენს ბავშვთა პორნოგრაფიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა და კიბერსაშუალებებით ჩადენილი ტერორიზმი. გარდა ამისა, 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც აწესებს ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგად სტანდარტებს საჯარო და კერძო სექტორისთვის. 2013 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას 2013-2015 წლებისთვის, რომელიც წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ დოკუმენტს. სტრატეგიას გააჩნია სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერილია დაგეგმილი ღონისძიებები. თუ ვინმემ ინტერნეტსივრცეში მოგაყენათ შეურაცხყოფა, ან დაგემუქრათ, თუ თქვენ გახდით კიბერთავდასხმის მსხვერპლი, ან ფლობთ ინფორმაციას კიბერდანაშაულის თაობაზე, გთხოვთ, მიმართოთ განცხადებით პოლიციას, ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 112 – უფასო ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში, ტელ.: 2 41 12 96; 2 41 17 67“.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თბილისის პარლამენტის ავტოსადგომი ბიუჯეტს 1.5 მილიონი დაუჯდება



საკანონმდებლო ორგანო თბილისის პარლამენტისთვის ავტოსადგომის ყიდვას გეგმავს, რომელიც დაახლოებით 1.5 მილიონი ლარი დაჯდება. საუბარია პარლამენტის გვერდით მდებარე მრავალსართულიანი შენობის ავტოსადგომზე. აღნიშნულ საკითხს პლენარულ სხდომაზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დაპირისპირება მოჰყვა.

„დღეს შემოვიდა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი მილიონ 500 ათას ლარს იკლებს იმისთვის, რომ თბილისში დამატებითი ავტოსადგომის შეძენა განახორციელონ. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ ხელი აიღონ ამ გადაწყვეტილებისგან და აღნიშნული თანხები სოციალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდეს“, – ამბობს უმცირესობის წევრი ზურაბ მელიქიშვილი.

უმრავლესობა უმცირესობის არგუმენტებს არ იზიარებს:

„იქვე გვერდით არის შენობა, რომელსაც აქვს პარკინგი. თავის დროზე ამ მშენებლობის ნებართვა გაიცა იმ პირობით, რომ პარკინგის შეძენის უფლება ჰქონოდა პარლამენტს. დღეს ეკონომიკის სამინისტრო გახლავთ ეკონომიკის განმკარგველი. ეს თანხა პარლამენტის დაფინანსებიდან გამოიყოფა“, – განაცხადა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძემ. (ნიუპოსტი)

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## დავით კოდუას ცემის ფაქტზე აღძრული საქმე გადაკვალიფიცირდა



ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის საქმეში ბრალდებულ ნოშრევან ნამორაძის საქმე კვალიფიკაციას იცვლის. ამ დრომდე გამოძიება 118-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობდა, რაც სხეულის ჯგუფურად განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დაკავებულების ადვოკატების განცხადებით, გამოძიებამ მტკიცებულებების არქონის გამო საქმეში ჯგუფური ცემის კვალი ვერ აღმოაჩინა, რის გამოც გამოძიება დღეისთვის 118-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლით მიმდინარეობს. ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიების ეტაპზე გამოირიცხა თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს შემთხვევის დროს გამოყენებული იყო ელექტროშოკები.

„ძიძა თავის ჩვენებაში ამბობს, რომ იქ იყო რამდენიმე ადამიანი, თუმცა, რაც დავინახე, მას ერთი ადამიანი სცემდა. ასევე, გამოძიების ეტაპზე გამოირიცხა თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გამოყენებული იყო ელექტროშოკები, რომ კოდუას ცემა ბავშვის თვალწინ მოხდა“, – განაცხადა ადვოკატმა გელაშვილმა.

დავით კოდუაზე თავდასხმა 3 მაისს თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მოხდა.

ბიზნესმენი მისი ცემის ფაქტზე აღძრული საქმის გადაკვალიფიცირებას ეხმაურება. მისი თქმით, არსებობს ვიდეოჩანაწერები, სადაც კარგად ჩანს, რომ მას სამი ადამიანი სცემს. როგორც კოდუა აცხადებს, ჯგუფურ თავდასხმას ადასტურებენ ბავშვის ძიძა, სილამაზის სალონისა და სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# შალვა ნათელაშვილმა აშშ-ში ვიზიტისას ორი ადამიანი გადაარჩინა

**„ალიას“ „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, აშშ-ში მორიგი ვიზიტით იმყოფებოდით. ამდენი ხანია, დადიხართ ამერიკაში და ბევრი სკეპტიკურად უყურებს თქვენს ვიზიტებს, შედეგით არ მთავრდებაო. ტყუილად ხარჯავთ დროსა და ფულს?**

– სკეპტიკოსები ყველა საკითხში და სულ იქნებიან. არ დაგიმალავთ, მაშინ როცა ყველა პოლიტიკოსივით ელექტორატზე ვფიქრობდი, ვცდილობდი, მათ არ წყენოდათ, რადგან მიმაჩნდა, რომ ამ ვოიაჟებით ხალხს გავანაწყენებდი. ასევე ვფიქრობდი, ვისაც იქაური მიმართულება არ მოსწონდა, არ დამიჭერდნენ მხარს. ამით ძალიან დიდი სისულელე გავაკეთე. ამ მიმართულებას დააწვნენ სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე, მთელი „ვარდების რევოლუციის“ „შანტრაბა“ და აითვისეს ეს მიმართულება. ჩემმა პასიურობამ გამოიწვია მაშინ ფერადი რევოლუცია და ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის მოსვლა ხელისუფლებაში. როცა დადგა „ვარდების რევოლუციის“ ჟამი, ის ხალხი, რომელიც ბურჯანაძესა და ჟვანიას ლანძღავდა, ამერიკის აგენტები ხართო, პარლამენტის წინ ცეკვავდა „ვარდების რევოლუციაზე“, მაშინ მივხვდი, რომ დიდი სისულელე გამიკეთებია. ასეთ სისულელეს ამის შემდეგ აღარ გავაკეთებ და ჩვენს მეგობრებს აშშ-ში არასდროს დავუტოვებ მსხვერპლად ავანტიურისტებს, კარიერისტებს, ერის მოძულეებს, რომლებიც ახლაც მრავლად არიან. მე მგონი, საკმარისი განმარტება გავაკეთე იმისთვის, რომ გამგებმა გაიგოს. მე ჩემი ვიზიტებით ვკეტავ ყველა საშუალებას, რომ მსგავსმა ავანტიურისტებმა ჩვენი მოკავშირისა და მეგობრის რესურსი კიდევ არ გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისთვის.

**— ბოლო ვიზიტის შედეგი რა არის?**

– შეხვედრები მქონდა ძალიან ცნობილ კონგრესმენებთან და სენატორებთან. კონგრესმენებთან დენი დევისთან, პაულ კოსართან, ქრის სტიუარტთან, ჯონსონთან, ტედ ბოსთან, ჯიმ ჯორდანთან და სხვა. ეს მწირი ჩამონათვალია იმ შეხვედრების, რაც იქ მქონდა, მაგრამ მე მხოლოდ მთავარი ფიგურები ამოვარჩიე. ეს ნიშნავს იმას, რომ „ლეიბორისტულ პარტიას“ აღიარებენ, როგორც ძლიერ და ძალიან გავლენიან პოლიტიკურ ძალას, თორემ ყველას ასე არ ხვდებიან. ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს დაიქირავა ლობისტური კომპანია, რომლის ოფისი ვაშინგტონში, პერსილვანია ავენიუზეა. ძალიან ავტორიტეტული ლობისტური კომპანიაა. მის ხელმძღვანელს დიდი ხანია ვიცნობ, ძალიან დადებითი პიროვნებაა. ესენი ახლა ინდოეთს უწევენ ლობისტობას, რომ დაიკანონონ ატომური იარაღი. ეს რატომ მოგიყევით ახლა, იცით? ეს ხალხი მთავაზობდა ლობირებას ძალიან იაფად, მაგრამ მათი იაფი ჩემთვის ძალიან ძვირი აღმოჩნდა, თანამშრომლობა ვერ შედგა, მაგრამ ურთიერთსიმპათიები მაინც დაგვრჩა. მათ იციან, რომ დიდი და გავლენიანი პარტია ვართ, რეიტინგი გვაქვს, დაზარალებული და დევნილი პარტიაც ვართ, სიტყვის პატრონები ვართ და არც შიგნით ვთამაშობთ, არც გარეთ. ეს იციან და აფასებენ. მეგობარი მყავს დიდებული პოლიტიკოსი, რომელიც სენატორია ტეხასიდან. ის 2016 წელს, იქაური გათვლებით, ამერიკის პრეზიდენტი ხდება. ამ კაცს ძალიან უყვარს საქართველო, ჩვენი კულტურა და ცივილიზაცია. მახსოვს, ბოლო შეხვედრის დროს ვეფხისტყაოსანი ვაჩუქე ინგლისურ ენაზე და მითხრა, აი, მისაღებ დარბაზში იქნება ეს წიგნი გამოფენილი, რომ ყველამ ნახოსო. როგორ გგონიათ, ეს კაცი რომ პრეზიდენტი გახდება, არ იმუშავებს საქართველოზე და ბევრ კარგ საქმეს არ გააკეთებს? მე ხომ მას არ ვთხოვ ამათსავით ჩემთვის გრანტების გამოგზავნას, ოჯახის წევრების მოწყობას და პირადი ბიზნესის აწყობას? ეს ნაცნობობა და გავლენები მინდა წაადგეს ჩემს ქვეყანას, თორემ ჩემი პირადი ინტერესებისთვის რომ მდომოდა, აქამდე 9 მმართველ პარტიას გამოვიცვლიდი.

**— რა საკითხებზე ესაუბრეთ იმ გავლენიან ამერიკელებს შეხვედრებისას, რა ინფორმაცია მიაწოდეთ?**

– განვიხილეთ ქვეყნის შიგნით არსებული ვითარება, რომელიც ძალიან მწვავეა, მათ ძალიან აღელვებთ ეს. დემოკრატიის დონე, სოციალური ყოფა და ხალხის განწყობა მათ ძალიან აინტერესებდათ. პირდაპირ ვუთხარი, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ ერთნი არიან. შემდეგ მოვითხოვე კონგრესში რეზოლუციის ინიცირება. 5 პუნქტი იქნება ამ რეზოლუციაში,

გაგრძელება მე-8 გვერდზე




**„როცა დადგა „ვარდების რევოლუციის“ ჟამი, ის ხალხი, რომელიც ლანძღავდა ბურჯანაძესა და ჟვანიას, ამერიკის აგენტები ხართო, პარლამენტის წინ ცეკვავდა „ვარდების რევოლუციაზე“, მაშინ მივხვდი, რომ დიდი სისულელე გამიკეთებია. ასეთ სისულელეს ამის შემდეგ აღარ გავაკეთებ და ჩვენს მეგობრებს აშშ-ში არასდროს დავუტოვებ მსხვერპლად ავანტიურისტებს, კარიერისტებს, ერის მოძულეებს, რომლებიც ახლაც მრავლად არიან“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ოქრიკას“ სასჯელი რომ შეუმსუბუქდეს, ჩემი შვილი მაგიტომ დააკავეს“




ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული, თენგო ერისთავის ოჯახის მტკიცებით, მას ნარკოტიკები სამართალდამცველებმა ჩაუდეს. ერისთავის დეიდის ინფორმაციით, რომელიც დაკავების დროს მასთან იმყოფებოდა, პირველადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება აღმოჩენილი არ იყო.

„როდესაც გკლავს შენი კლასელი, შენი ახლობელი, შენი უბნელი, ამას არ აქვს არანაირი ახსნა, ის არის მკვლელი, რომელსაც უნდა, ნელ-ნელა გაანადგუროს მისი მეგობრები, უცხოებს არ ერჩის. მის მეგობრებს და ამხანაგებს ერჩის. არ ვიცი, რატომ, რისთვის. ჩემი შვილი, ალბათ, იმიტომ დაიჭირეს, რომ მას სასჯელი შეუმსუბუქდეს. არ მინდა, რომ დავიჯერო, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ესენი ამას აპირებდნენ. ეს წინასწარ იყო ცნობილი. ადამიანი პრობაციაში რომ მიდის, როგორ გგონიათ, იარაღითა და წამლით წავიდოდა? მოგვიანებით გავიგე, რომ 7 აბი „სუბოტექსი“ ჩაუდეს. დარწმუნებული ვარ, ოქროპირიძეს რომ შეუმსუბუქდეს მდგომარეობა, ეს ყველაფერი ჰბრალდება თენგოს. ისიც მიკვირს, რომ მეც არ ჩამიდეს ნარკოტიკი“, – აცხადებს ერისთავის დეიდა. სამართალდამცველებმა თენგო ერისთავი ნარკოდანაშაულის ბრალდებით 16 სექტემბერს ღამით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, მას 7 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“ აღმოუჩინეს.

თენგო ერისთავის დედა ქეთევან კეკელიძე სამართალდამცავებს ზეწოლაში ადანაშაულებს, როგორც მან განაცხადა, მოკლული ლაშა მახარაძის მეგობრების დაკავება პანაშვიდზევე დაიწყო. კეკელიძე ამბობს, რომ სამართალდამცავები სახლიდან გასვლისა და მეზობლებთან ურთიერთობის უფლებასაც არ აძლევდნენ, თუმცა ჩხრეკისას სახლში ვერც ნარკოტიკი აღმოაჩინეს და ვერც იარაღი“.

სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს ერისთავის დეიდა თამარ კეკელიძეც, რომელიც დის მსგავსად მიიჩნევს, რომ ერისთავის დაკავება, მახარაძის მკვლელობისთვის დაკავებული გიორგი ოქროპირიძისთვის სასჯელის შესაძლო შემსუბუქების გამო მოხდა.

„ბიჭები სცემეს, დააშინეს, ზოგს ნარკოტიკი ჩაუგდეს, რომელ დემოკრატიაზე მელაპარაკებით, დასდევენ ვაკის ბიჭებს... გვეგონა, რაღაცა გამოსწორდებოდა და სტაბილურობა იქნებოდა. ეს არის სტაბილურობა?“, – განაცხადა ერისთავის დეიდამ.

(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრეზიდენტის ვიზიტებზე ფინანსთა სამინისტრო ინფორმირებული იყო“



პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილი დავით ზალკალიანის განცხადებას პასუხობს. მისი თქმით, პრეზიდენტის შეხვედრებზე მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთან ინფორმირებული იყო ფინანსთა სამინისტრო და ყველა სხვა უწყება, რომელსაც ეს საკითხი ეხება.

„პრეზიდენტს 26 სექტემბერს ვაშინგტონში დანიშნული ჰქონდა შეხვედრა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორთან. ამასთან დაკავშირებით მქონდა კომუნიკაცია შესაბამისი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.

როგორც ფინანსთა სამინისტრო, ისე ყველა შესაბამისი უწყება აღნიშნული შეხვედრების თაობაზე ინფორმირებულები იყვნენ. მეტიც, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს ვთხოვეთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია საქართველოს ურთიერთობის შესახებ მსოფლიო ბაკთან. ეკონომიკის სამინისტროს შემთხვევაში ეს ინფორმაცია მომივიდა, ხოლო ფინანსთა სამინისტროდან მოვიდა დასტური, რომ ინფორმაციას გადმოგვიგზავნიდნენ, თუმცა ვიზიტის გაუქმების შემდეგ თავად მივმართეთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია აქტუალური აღარ იყო“, – განაცხადა აბაშიშვილმა.

(ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

მოიცავს იმ საკითხებს, რომელიც არ გვარდება აქ: საარჩევნო კომისიებში ყველას ჰყავდეს თითო თავისი წარმომადგენელი, არჩევნებში მონაწილეობა გახდეს სავალდებულო, ბიულეტენების გადათვლა უნდა მოხდეს მხოლოდ ვიდეოთვალის ქვეშ და ამ ბიულეტენების ქურდებს არ უნდა დავანებოთ, პარტიულ ბლოკებზე უნდა დაწესდეს მაღალი ბარიერი. არ შეიძლება, „ლეიბორისტულ პარტიას", რომელიც სულ მარტო იყრიდა კენჭს, ჰქონდეს იგივე ბარიერი, როგორც კოალიციას, ან ბლოკს, რომელსაც 0.005% აქვს რეიტინგი. ბოლო, მეხუთე საკითხია ის, რომ გაუქმდეს ქვეყნის გამყიდველი მაჟორიტარი დეპუტატების კორპუსი. სანამ მაჟორიტარი დეპუტატები იქნებიან პარლამენტში, მანამდე ჩვენი ქვეყანა იქნება დახლზე დადებული, მათი ბიზნესინტერესების დაკმაყოფილების საშუალება. პარლამენტი უნდა იყოს პარტიების სარბიელი, იქ უნდა მივიდნენ პოლიტიკური პროგრამებით და იდეით და არა ისე, მილიონებს რომ იშოვიან, ზოგს ქელეხს გადაუხდიან, ზოგს ქორწილს, ზოგს ისე მისცემენ ფულს და მოდიან ისევ ხელისუფლებაში.

**— რა გიპასუხეს, გავიტანთ რეზოლუციასო?**

– განხილვის სტადიაშია კონგრესში და უახლოეს პერიოდში იქნება პასუხი.

**— სააკაშვილზე თუ იკითხეს რამე?**

– არც იხილება მიშას საკითხი, მხოლოდ ერთმა კონგრესმენმა მკითხა, რა ხდება, რამე დააშავაო? მე ვუთხარი, რაც დააშავა, იმაზე კი არ წაუყენეს ბრალი, წაუყენეს უფრო სუსტი. სერიოზული ჩამოაწერესთქო. რამდენიმე კონგრესმენი გვეწვევა სტუმრად, ახლა არ მინდა, გავასწრო მოვლენებს. ამას გარდა, რეზოლუციაც მალე იქნება და ამას აუცილებლად განვიხილავ თქვენთან ერთად.

**— სულ ისეთ დროს მიდიხართ ამერიკაში, ხან „ოცნება" მოგყვებათ უკან და ხან „ნაცები". ახლა ბოკერია და ბაქრაძეც იქ იყვნენ. ზოგიერთებმა თქვეს, რომ მათ კონგრესში შეხვედრიხართ კიდეც. ასეა?**

– ვიცოდი, მაგას რომ იტყოდნენ, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს. არანაირი სურვილი არ მაქვს მაგათი ნახვის არც იქ და არც აქ.

**— „ნაციონალებმა" თქვეს, ბოკერია და ბაქრაძე ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე სასაუბროდ წავიდნენ ამერიკაშიო. თქვენ როგორ იცით, რისთვის ჩავიდნენ?**

– „ნაციონალებს" თავისი ლობისტები და მხარდამჭერები ჰყავთ მაკკეინის მეთაურობით. ამერიკა არის ლობისტური სახელმწიფო, მას ჰყავს თავისი სიმპათია, რომელზეც მუშაობენ. იქ რომ რამდენიმე კონგრესმენი და სენატორი ჰყავთ „ნაცებს", ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი კონგრესი ასე ფიქრობს. ორი კარგი საქმე გავაკეთე იქ ვიზიტისას და კმაყოფილი ვარ.

**— რა საქმე?**

– კონგრესის სასადილოში, სადაც მსოფლიოს ყველა ლიდერი სადილობს, არის ერთი განყოფილება, სადაც ყოველდღე გამოფენილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამზარეულოს ნიმუშები. იაპონია მარტო მანქანებით კი არა, სუშითაც ამაყობს მსოფლიოს წინაშე. დავაკვირდი, რომ ქართული სამზარეულო არ იყო. გამოვიძახე მთავარი მენეჯერი, ვკითხე, რატომ არ გაქვთ ის სამზარეულო, რომლითაც სტალინმა ფაშიზმი გაანადგურა-მეთქი. დაირცხვინა ამ მენეჯერმა და დამპირდა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა. საქმე ისაა, რომ ეს საკითხი ძალიან მოქმედებს, ის კონგრესმენი და სენატორი, რომელიც ქართულ სამზარეულოს მიეჩვევა, უკვე დაინტერესდება ქვეყნით, კულტურით. ეს „ნაცები" და „ოცნება" იქ რომ ჩადიან და მილიონებს ხარჯავენ, ამას რატომ არ აქცევდნენ ყურადღებას, რომ მთელი მსოფლიოა იქ წარმოდგენილი და ქართული სამზარეულო არაა? ასე უყვართ ამათ ქვეყანა.

**— მეორე საამაყო საქმე რა არის?**

– იცით, რა დამემართა? ატლანტიდან მოვფრინავდი და ჯდომა ძნელია ამდენ ხანს, ვიფიქრე, გავივლი-მეთქი. უცებ დავინახე, რომ ჩემს თვალწინ ჰალსტუხიანი, მსუქანი, სათვალიანი კაცი დაეცა. სასწრაფოდ გამოვათრიე, სადაც თავისუფალი ადგილი იყო, დავაწვინე, ხელოვნური სუნთქვა ჩავუტარე, ფეხები ავაწევინე, ბალიშები დავუფინე და გაოცებული მიყურებდა, როგორც გადამრჩენს. ექიმი ვეგონე, მალე მოსულიერდა. ვზივარ ცოტა ხანს და მოვიდა სტიუარდესა და მელაპარაკება. მეგონა, იმ კაცის ჯანმრთელობაზე მელაპარაკებოდა და ვუმეორებ, კარგადაა, კარგად-მეთქი, მაინც აგრძელებდა საუბარს. მივხვდი, სადღაც მეპატიჟებოდა და გავყევი. დავინახე, თვითმფრინავის შესასვლელში ახალგაზრდა ბიჭი წაქცეულა. იმასაც იგივე პროცედურები ჩავუტარე და სანამ სტუარდესები მადლობას მიხდიდნენ, მე ვუთხარი, პოლიტიკოსი ვარ, ექიმი არ ვარ-მეთქი და მესამე კაცის ჩასაკოცნად აღარ დამიძახოთ-თქო. სასწაული შემემთხვა, რა.

**— ახლა, როგორია ამ ამბის მერე სერიოზულ თემაზე გადასვლა, მაგრამ არჩევნები მალე მოგვადგება კარს და რას აპირებთ? ხელოვნური სუნთქვის ჩატარება ნამდვილად ვერ გაგამარჯვებინებთ...**

– მართალია, ხელოვნური სუნთქვის პროცედურები ვერ გვიშველის არჩევნებზე, ამიტომ იმედი მაქვს, მოვსინჯავთ კოლეგებთან კოორდინაციის საშუალებას, ვინც ამათ საცეცებში არაა გახლართული. პირველ რიგში, კოდექსის დახვეწას ვეცდებით, თორემ ისე არ ექნება არჩევნებს აზრი.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

**„ნაციონალებს" თავისი ლობისტები და მხარდამჭერები ჰყავთ მაკკეინის მეთაურობით. ამერიკა არის ლობისტური სახელმწიფო, მას ჰყავს თავისი სიმპათია, რომელზეც მუშაობენ. იქ რომ რამდენიმე კონგრესმენი და სენატორი ჰყავთ „ნაცებს", ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი კონგრესი ასე ფიქრობს"**



**„კონგრესის სასადილოში, სადაც მსოფლიოს ყველა ლიდერი სადილობს, არის ერთი განყოფილება, სადაც ყოველდღე გამოფენილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამზარეულოს ნიმუშები. იაპონია მარტო მანქანებით კი არა, სუშითაც ამაყობს მსოფლიოს წინაშე. დავაკვირდი, რომ ქართული სამზარეულო არ იყო. გამოვიძახე მთავარი მენეჯერი, ვკითხე, რატომ არ გაქვთ ის სამზარეულო, რომლითაც სტალინმა ფაშიზმი გაანადგურა-მეთქი. დაირცხვინა ამ მენეჯერმა და დამპირდა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია მაია ფანჯიკიძეს პასუხობს



პრეზიდენტის ადმინისტრაცია საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას პასუხობს. საუბარია უელსში, ნატო-ს სამიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დაესწრო.

მოგახსენებთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ესწრებოდა:

1. საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების შეხვედრას;
2. შეხვედრას ნატო-ს გენერალურ მდივანთან ანდერს ფოგ რასმუსენთან;
3. შეხვედრას ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან ჰერმან ვან რომპუისთან და ევროკომისიის პრეზიდენტთან ჟოზე მანუელ ბაროზოსთან;
4. შეხვედრას ბულგარეთის პრეზიდენტთან როსენ პლევნელიევთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი არ ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრას ლატვიის პრეზიდენტთან ანდრის ბერზინშთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი ვერ დაესწრო უკრაინის, პოლონეთისა და თურქეთის პრეზიდენტებთან შეხვედრას, რადგან აღნიშნული შეხვედრები გაიმართა დელეგაციათა ხელმძღვანელობის მიღების დროს, რომლის პარალელურად იმართებოდა ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების მიღება და ქალბატონი მაია ფანჯიკიძე ალექსი პეტრიაშვილთან და ირაკლი ალასანიასთან ერთად იმყოფებოდა ამ მიღებაზე.

საქართველოსა და ჩეხეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვედრა ჰქონდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სახელმწიფო მინისტრთან ევროპისა და ნატო-ს საკითხებში დევიდ ლიდინგტონთან, თუმცა საქართველოსა და ჩეხეთის პრეზიდენტების შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი (ალასანიას შეხვედრა ჰქონდა 28+24 ფორმატით).

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს შორის არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაზე საუბრობს.

ცნობისთვის: საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ გიორგი მარგველაშვილმა საჭიროდ არ ჩათვალა მისი დასწრება ისეთი ფორმატის შეხვედრებზეც კი, რომელიც თავისთავად დელეგაციის ხელმძღვანელისა და საგარეო უწყების ხელმძღვანელის მონაწილეობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სურსათის სააგენტომ „თაღლაურა" დახურა



სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, შპს „თაღლაურა მენეჯმენტ კომპანის" კუთვნილი სახინკლე „თაღლაურა" დახურა. სხვა დარღვევებთან ერთად, სახინკლეში ვერ წარმოადგინეს ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა №2, რის გამოც „თაღლაურა" დაიხურა და შპს „თაღლაურა მენეჯმენტ კომპანი" 1000 ლარით დაჯარიმდა.

კრიტიკული შეუსაბამობების გამო დაიხურა ასევე რძის პროდუქტების სექცია ახალციხის აგრარულ ბაზარში (შპს „სავაჭრო ცენტრი ახალციხე"), სადაც დარღვეული იყო რძის პროდუქტების (არაჟანი, რძე, კარაქი) შენახვა-რეალიზაციის პირობები, კოროზირებული იყო ხორცის დასაკიდი კაუჭები. ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2, რის გამოც დაჯარიმდა 1000 ლარით.

ფორმა №2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციისა და სხვა დარღვევებისთვის კახეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა საწარმოო პროცესი შეუჩერეს და 1000 ლარით დააჯარიმეს სიღნაღის რაიონის ქალაქ წნორში მდებარე ხორცის სარეალიზაციო ობიექტი შპს „მარი 97".

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ნინოწმინდის რაიონის სოფელ ხანჩალში დახურეს ი/მ „ვაგრამ ადუმიანის" რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო, რომლის შენობაში წარმოების პარალელურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები; არ ჰქონდათ სამაცივრე დანადგარები, რის გამოც დარღვეული იყო სურსათის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი; კოროზირებული ინვენტარი და მწერები – ასეთია იმ დარღვევების ჩამონათვალი, რის გამოც რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო დაიხურა, ბიზნესოპერატორი კი 1000 ლარით დაჯარიმდა.

ანტისანიტარიისა და ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობის დარღვევისთვის დაიხურა ბათუმში, გამსახურდიასა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შპს „ჰოფას" კუთვნილი საშაურმე, სადაც ინსპექტირება სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა განახორციელეს. (ნიუპოსტი)

# გამოძიებას დამატებითი ექსპერტიზა კიწმარიშვილის მკვლელის კვალზე გასასვლელად დასჭირდა?

ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურა კვლავ დუმილს ამჯობინებს. საქმე კვლავ 115-ე, პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული და როგორც პროკურატურა განმარტავს, ამ დანაშაულის მკვლელობის მუხლად გადაკვალიფიცირებას არ აპირებს. არადა ოჯახის წევრები აცხადებენ, ეროსი მოკლულიაო და თვითმკვლელობის ოფიციალურ ვერსიას არ იზიარებენ.

„ალიას“ პროკურატურასთან დაახლოებულმა სანდო წყარომ აცნობა, რომ ეროსი კიწმარიშვილის საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია, ის მოკლულია და ეს უკვე ჩატარებული ექსპერტიზების პასუხებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგების ერთობლიობით დასტურდება. ამავე წყაროს თქმით, ეროსი კიწმარიშვილი რომ მოკლულია, ამის შესახებ ოჯახის წევრებმაც იციან, ოჯახის მიერ საქმეში ჩართულმა ექსპერტებმაც, თუმცა გამოძიების დაჟინებული მოთხოვნით, ამ ეტაპზე, ისინი დუმილს ამჯობინებენო. საყურადღებო ვერსიაა და მას დამაჯერებლობას ისიც მატებს, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ჯერჯერობით, არ გავრცელებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის ვერსიას ოდნავ მაინც გაამყარებს.

მართლა გახსნილია თუ არა ეროსი კიწმარიშვილის საქმე? იციან თუ არა ეს მისი ოჯახის წევრებმა და საქმეში ჩართულმა ექსპერტებმა? მართლა არ ახმაურებენ ამ ინფორმაციას გამოძიებს ინტერესების თუ სხვა მიზეზების გამო? ამ და სხვა კითხვებით „ალიამ“ ექსპერტებსა და გარდაცვლილის ძმას, ზურა კიწმარიშვილს მიმართა.

თავდაპირველად ექსპერტ-ბალისტიკოსს, ზაზა ალთუნაშვილს დავუკავშირდით.

– არა, არა, არაფერი მსგავსი არ ვიცი. ეგ რომ ზურა კიწმარიშვილს სცოდნოდა, როგორ ფიქრობთ, არ იტყოდა აქამდე? ეგ კი არა, არც ერთი ექსპერტიზის პასუხი არ არის ჩემთვის ცნობილი, გარდა, ბალისტიკურისა და ჯერ მის შედეგებს ვერ ვასაჯაროებთ. არ გვაცნობს საგამოძიებო მასალებს პროკურატურა და ვალდებულიც არ არის, რომ გაგვაცნოს. მარტო ექსპერტიზის შედეგებით ეს საქმე რომ გაიხსნას, ეგრე არ ხდება.

**— ის მაინც გვითხარით, იმ იარაღიდან არის ნასროლი, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში იპოვეთ, ანუ „ჩეზე-75“-დან?**

– აი, ეგ ნამდვილად ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი გამოძიების ნებართვის გარეშე. პრინციპში, დანაშაულის კვალიფიკაციაში ამან რა უნდა შეცვალოს? ბევრი არაფერი.

**ამის შემდეგ „ალია“ სამედიცინო ექსპერტს, მაია ნიკოლეიშვილს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო მაია, თითქოს გამოძიებით დადასტურდა ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა, მაგრამ ამას არ ახმაურებს პროკურატურა. ამავე ინფორმაციით, თქვენც იცით ამის შესახებ, მაგრამ გამოძიების ინტერესების გამო, ვერ ამბობთ, რომ ეროსი მოკლულია.**

– აბსოლუტურად პირნათლად შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად არაფერი ვიცი ამ ვერსიის შესახებ, ნეტავ ასე იყოს და ნეტავ გამოკვეთილი იყოს, მხოლოდ გამიხარდებოდა. ნამდვილად ახალი არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის, მით უმეტეს, გამოძიებას და არც არაფერს ვმალავ.

**— 16 სექტემბერს იმ მანქანაში, სადაც ეროსი კიწმარიშვილი იპოვეს გარდაცვლილი, დამატებითი ექსპერტიზა ჩატარდა. ეს ვისი ინიციატივით მოხდა და რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი კვალი ხომ არ აღმოჩნდა მანქანაში?**

– გამოძიების ინიციატივით ჩატარდა. ექსპერტიზის ჩატარების მიზანი იმის გარკვევა იყო, მანქანის ყველა სავარძელზე, მათ შორის უკანა მარცხენა სავარძელზე მიმობნეული შხეფები სისხლის კვალი იყო თუ არა და ასევე, ეს ყველა შხეფი, თუკი სისხლი იყო, გარდაცვლილისა იყო თუ არა. უნდა მოხდეს შედარება და გაირკვეს, ეს შხეფები, ყველა ერთი ადამიანისაა თუ სხვადასხვა ადამიანს ეკუთვნის. განსაკუთრებით საინტერესო იმ უკანა მარცხენა სავარძელს შერჩენილი კვალია, მეც ძალიან მაინტერესებს, ეს სისხლის კვალია და გარდაცვლის ეკუთვნის თუ სხვა რამ. ამის დადგენა გენეტიკური ანალიზის დონეზე მოხდება.

**— შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მანქანაში იჯდა ვიღაც მეორე, სავარაუდოდ, მკვლელი და გამოძიება ეძებს მის კვალს. შესაბამისად, ეს მანქანის დამატებითი ექსპერტიზაც იმიტომ დასჭირდა გამოძიებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამატებით ექსპერტიზას არ ჩაატარებდა გამოძიება.**

– იგივე ვარაუდზე დავრჩები თქვენთან ერთად, უფრო წინ ვერ წავალ. ამ ვერსიაზე გამოგყვებით, მაგრამ მეტი ინფორმაცია არ მაქვს. შესაძლოა, გამოძიებას აქვს რაღაც ახალი, ახლა გახდა ექსპერტიზა აუცილებელი, ამას, ალბათ, რაღაც საფუძველი გააჩნია.



**— ქალბატონი მაია, ზურა კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ გამოძიებამ ხელახლა დაკითხა ყველა, ვინც ამ საქმეში ადრე უკვე დაჰკითხეს. თუ რაიმე მნიშვნელოვანი და ახალი გარემოება არ აღმოაჩინა გამოძიებამ, რა საჭირო იყო, უკვე დაკითხული ხალხის ხელახლა დაკითხვა?**

– კი, ლოგიკურად ასეა. გამოძიება მაშინ ჰკითხავს ყველა მოწმეს ხელახლა, როცა რაღაც ახალი დეტალები იკვეთება საქმეში... რასაც ვუყურებ, რასაც ვადარებ, თვითმკვლელობის ალბათობა ძალიან, ძალიან, დაბალია. გამორიცხული არაფერია, მაგრამ, ჩემი აზრით, თვითმკვლელობის ალბათობა მინიმალურია.

**„ალიამ“ ეროსი კიწმარიშვილის ძმასთან, ზურა კიწმარიშვილთანაც გადაამოწმა ჩვენს ხელთ არსებული კულუარული ინფორმაცია.**

– არა, ტყუილია ეგ, მე პირადად არავის არ გავუფრთხილებივარ, არავის არ უთქვამს რაიმე ვერსიის შესახებ, რომ ეს არ გავახმაურო. მით უმეტეს, არავის არ უთქვამს ოფიციალურად, რომ ჩემი ძმის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით რაღაც ახალია, უკვე მკვლელს ეძებენ და ა.შ. თუმცა, ჩემი შინაგანი რწმენით, ეს ნამდვილად მკვლელობაა და აზრი, ცხადია, არ შემიცვლია. თუმცა, სამწუხაროდ, შემთხვევის ადგილზე ჯერ ვერ ვნახე უტყუარი მტკიცებულება, რომ იქ იყო მკვლელი. თეორიულად, არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიება მკვლელს ეძებს კიდეც, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ბოლო ექსპერტიზა ამის გამო ჩატარდა, არ ვფიქრობ, რომ გამოძიებას გუშინ და გუშინწინ რაღაც ინფორმაცია არ ჰქონდა და ახლა, უცაბედად რაღაც კვალზე გავიდა და მანქანის ხელახალი ექსპერტიზაც იმიტომ ჩაატარა.

„ალია“ მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ნათია შიხიაშვილსაც დაუკავშირდა: „ჯერჯერობით, ამ ეტაპზე ახალი არაფერია ეროსი კიწმარიშვილის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით და არც თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლის გადაკვალიფიცირებას აპირებს გამოძიება. ყველა საექსპერტო დასკვნის პასუხი რომ გახდება ცნობილი, მათი სხვა საგამოძიებო მოქმედებების შედეგებთან შეჯერებით გამოიკვეთება საერთო სურათი, მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს პროკურატურა განცხადებას. როდის, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ საქმესთან დაკავშირებით განცხადებს პროკურატურა აუცილებლად გააკეთებს“.

მიუხედავად იმისა, რომ ეროსი კიწმარიშვილის ძმაც, საქმეში ჩართული ექსპერტებიც აცხადებენ, რომ მათ ამ საქმის გამოძიების შესახებ ახალი არაფერი იციან პროკურატურისგან, ის ვერსია, რომ გამოძიებამ თვითმკვლელობა გამორიცხა და მკვლელობის მიმართულებით მუშაობს, საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. სხვას თავი დავანებოთ, უკვე ექსპერტიზაჩატარებული მანქანის ხელმეორედ ჩატარებული ექსპერტიზა, უკვე დაკითხული ყველა მოწმის ხელახლა დაკითხვა, იმ ეჭვს აძლიერებს, რომ პროკურატურამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება აღმოაჩინა გამოძიების პროცესში და მისი ეს მოქმედებებიც ამით აიხსნება. ეს ახლად აღმოჩენილი გარემოებები კი, ლოგიკურად, საქმეში მკვლელის კვალის გამოჩენას უნდა უკავშირდებოდეს.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არასამთავრობოები პატრულ-ინსპექტორის სამსახურიდან განთავისუფლებას აპროტესტებენ

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, პატრულ-ინსპექტორი იოსებ აბულაძე სამსახურიდან 17 სექტემბერს გაათავისუფლეს, მაგრამ განთავისუფლების შესახებ ბრძანება ჯერჯერობით არ ჩაბარებია:

„იოსებ აბულაძე რამდენიმე წელია, მუშაობს შსს-ს ორგანოებში, არის გამოცდილი და კეთილსინდისიერი ინსპექტორი. მის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ არაერთხელ ყოფილა გამოყენებული წამახალისებელი ღონისძიებები.

აბულაძის სამსახურიდან განთავისუფლება უკავშირდება 19 ივნისს მომხდარ შემთხვევას, როდესაც ის ღამის საათებში მეტეხის ხიდთან ე.წ. გადაკეტვაზე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. ამ დროს გააჩერა BMW-ს მარკის მანქანა, რომლის მძღოლი გადაკეტილ ქუჩაზე ცდილობდა შესვლას. მოქალაქემ მიმართა პატრულ ინსპექტორს აგდებული ტონით, რაზეც პატრულისგან მიიღო შენიშვნა. აღნიშნული მოქალაქე აღმოჩნდა შსს-ს მაღალჩინოსნის, კერძოდ გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილის ერეკლე ჭოხონელიძის მეგობარი, რომელიც შარდენის ქუჩაზე იმავე სუფრასთან ქეიფობდა, სადაც მიდიოდა გაჩერებული ავტომანქანის მძღოლი. ჭოხონელიძემ რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარა აბულაძე სამინისტროში და მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რის შემდეგაც მას გამოუცხადეს სასტიკი საყვედური.

აბულაძემ თავისი შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტზე მიმართა სახალხო დამცველს, რომელმაც დაიწყო მოკვლევა აღნიშნულ შემთხვევაზე. ამის შემდეგ პატრულ-ინსპექტორის წინააღმდეგ გაძლიერდა სხვადასხვა სახის ზეწოლა. ხოლო 17 სექტემბერს ის დაიბარეს შსს-ში და განუცხადეს, რომ განთავისუფლებული იყო სამსახურიდან“.

არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ, შინაგან საქმეთა მინისტრმა შეისწავლოს აღნიშნული საქმე, გააუქმოს იოსებ აბულაძის განთავისუფლების ბრძანება და უკანონოდ გათავისუფლებული პატრული-ინსპექტორი აღადგინოს სამსახურში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ნადარეიშვილის სახელობის ქუჩას სახელი გადაარქვეს



თამაზ ნადარეიშვილის სახელობის ქუჩას სახელი გადაარქვეს. ამის შესახებ ინფორმაციას, ნადარეიშვილის შვილი, ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

„თბილისში, იქ, სადაც მამაჩემი თამაზ ნადარეიშვილი ცხოვრობდა (დელისის I ქუჩა), რამდენიმე წლის წინათ, აფხაზეთის მთავრობის მოთხოვნით მამაჩემის დაბადებიდან 55 წლის იუბილეზე, ქუჩას დაერქვა თამაზ ნადარეიშვილის სახელობის ქუჩა. ახლა კი როგორც საჯარო რეესტრიდან გვაცნობეს, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩას დღევანდელმა საკრებულომ 4 სექტემბერს გადაარქვა სახელი და დაარქვა კამანის ქუჩა“. – წერს ნადარეიშვილი. (პირველი რადიო)

## ირაკლი ალასანიას ვაჟმა ფიცი დადო




72 სამხედრო მოსამსახურე შეემატა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის ერთ-ერთი ირაკლი ალასანიას ვაჟი ნიკა ალასანია გახლავთ. ფიცის დადების ცერემონია ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გაიმართა. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მეუღლესთან ერთად ფიცის დადების ცერემონიას დაესწრო.

„ნიკა უკვე შეირაღებული ძალების დიდი ოჯახის ნაწილი გახდა და აქ თვისობრივად ახალი ცხოვრება დაიწყო, განსხვავებული ცხოვრება. ბევრს შეიძენს ამ ერთი წლის განმავლობაში სავალდებულო სამსახურში. გამიხარდა, რომ მან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო. ისეთი ბაბუები ჰყავდა, რომ ეს გადაწყვეტილება ლოგიკური იყო. დანარჩენს ვნახავთ, როგორც მეუბნებიან, კარგად ჩააბარა. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ რამეს მიიღებს შეიარაღებულ ძალებში სამსახურიდან“, – განაცხადა მინისტრმა. (რეპორტიორი)

# რას დაჰპირდა ლადო პაპავას დავით ნარმანია და რატომ სურს პრემიერთან შეხვედრა?



**თსუ-ს რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მთავრობას ღია წერილით მიმართა, რომელშიც წართმეული კვლევითი ინსტიტუტების დაბრუნებასა და უნივერსიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობას აპროტესტებს. ის მოუწოდებს მთავრობას, თბილისის საკრებულოსა და მერიას, მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოების, სტუდენტების ინტერესების უგულებელყოფა.**

**„ალიას“ ვლადიმერ პაპავა ესაუბრა:**

– ადრე მოხდა უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების გასხვისება, ხოლო შემდეგ ჩვენდა დაუკითხავად მოხდა მცდელობა ქონების კიდევ ერთხელ გასხვისებისა, მაგრამ შემდეგ ჩვენ ჩავერთეთ ამ საქმეში და შევაჩერეთ პროცესი. აქედან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ასე რომ, ეს პრობლემა გადავწყვიტეთ, მაგრამ ამას მოჰყვა ის, რომ ქალაქის მერიამ პრივატიზაციაში მოაყოლა უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის წინ არსებული ტერიტორია, სადაც უნდა გაშენდეს სასაფლაო, ამაზეც გამოვთქვი ამ ცოტა ხნის წინ პროტესტი.

**— სასაფლაოსთან დაკავშირებით რომ ატეხეთ ამბავი, კარგია, მაგრამ როგორ გაუქმდება ხელშეკრულება, მანდ ხომ ფულია გადახდილი?**

– გეტყვით, ესაა ასევე ჩვენი მომიჯნავე ტერიტორია და გამოდის, რომ პრაქტიკულად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესასვლელთან იქნებოდა სასაფლაო, მაგრამ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ასევე საგამოცდო ცენტრიცაა, ამიტომ ჩვენ მოვითხოვეთ, ამ ობიექტზე სასაფლაო არ განთავსდეს. ბუნებრივია, სანამ მერიაში მოვიდოდა ახალი ხელმძღვანელობა, ძველი მერიის რეაქცია იყო ნულოვანი, ხოლო მერიის ახალი ხელმძღვანელობა და კონკრეტულად, დავით ნარმანია ამჟამად შეპირებულია, რომ ამ გადაწყვეტილებას უახლეს ხანში, სექტემბრის ბოლოს გააუქმებს. რაც შეხება თანხის გადახდას, ეს ტექნიკური საკითხია და მე ვერ გაგცემთ ნამდვილად პასუხს.

ვაცხადებ, რომ ნამდვილად არ ვარ მომხრე კერძო საკუთრების ინტერესების შელახვის, მაგრამ კერძო ბიზნესი არ უნდა ვითარდებოდეს უნივერსიტეტის ინტერესების შელახვის ხარჯზე. შეიძლება, სასაფლაო ბიბლიოთეკის კარზე იყოს მიმდგარი? რაც შეეხება მეორე საკითხს: ჩემთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი ფაქტი, გაირკვა, რომ უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მეზობლად შენდება გაზგასამართი სადგური, რაც აბსოლუტურად მიუღებელია უნივერსიტეტისთვის, რადგანაც კითხვა ჩნდება, რა კავშირი აქვს გაზგასამართ სადგურს უნივერსიტეტთან? რადგანაც ეს, გარკვეული აზრით, საფრთხის შემცველი ბიზნესია? ასეთი სადგური ტექნოლოგიურად საკმაოდ რთული რამაა და, ღმერთმა დაიფაროს, ან გაჟონვა მოხდეს, ან რაიმე ტექნიკური უბედურება, მანდ ხომ ჩვენი ახალგაზრდა თაობაა, პროფესურა? მანდ ათასობით სტუდენტი მოძრაობს ყოველდღიურად და ამიტომ მერიასა და საკრებულოს მივმართე, რომ მიიღონ ზომები და შეცვალონ გადაწყვეტილება. და თუ მაინცდამაინც, გაკეთდეს ისეთი ობიექტი, რომელიც იქნება უნივერსიტეტის სივრცისთვის მისაღები და ადეკვატური.

**— და ამ გაზგასამართი სადგურის აშენების უფლება როდისაა გაცემული, ახალი, თუ ძველი მერიის ხელში?**

– ეგ არ ვიცი და არც გამირკვევია, რადგანაც ეს არ არის ნამდვილად ჩემი სფერო, ჩემთვის მთავარია, რომ ასეთი ობიექტები არ შენდებოდეს უნივერსიტეტის ახლოს. სხვათა შორის, სრულიად შემთხვევით გავიგე ამის შესახებ! შემთხვევით ვნახე, რომ ტერიტორია შემოფარგლულია და არავითარი წარწერა არ აქვს, მაგრამ დავრეკე, სადაც საჭირო იყო, და იქ მითხრეს, იქნება გაზგასამართი სადგურიო.

**— თქვენი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე?**

– დიახ და მინდა, გამოვიყენო შესაძლებლობა და ეს „ალიას“ ფურცლებიდან გაჟღერდეს: ცხადია, მთავრობის საკუთრებაა მიწა და შეუძლია, გაასხვისოს, მაგრამ ვთხოვ, იფიქრონ, აქ ხომ მათი შვილები იზრდებიან და ისეთ რამეს ნუ გააკეთებენ, რაც ადეკვატური არ იქნება ამ სივრცისთვის და, თუ თავად არ ჰყოფნის კომპეტენცია ამა თუ იმ ჩინოვნიკს, დაგვირეკონ, გვკითხონ და ჩვენც მეგობრულად ავუხსნით. კიდევ ერთი მომენტი, რასაც მინდა, ხაზი გავუსვა: წინასაარჩევნო პერიოდში ბატონ დავით ნარმანიას ჰქონდა განცხადება, რომ უნივერსიტეტის ახლოს უნდა აშენდეს ახალგაზრდული ცენტრი და ჩვენ ამას მივესალმებით, მაგრამ ამის შემდეგი ობიექტი გაზგასამართი სადგურია? ეს ორი რამ წარმოგიდგენიათ ერთმანეთის გვერდით? მინდა, ქართველმა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება: ერთხელ და სამუდამოდ ახსოვდეს ნებისმიერ ხელისუფლებას, ნებისმიერ ჩინოვნიკს, რომ პატივი სცენ სტუდენტებს და ახალგაზრდებს, რადგანაც ამჟამად არ აქვთ განცდა, რომ მათ ზიანს აყენებენ.

**— თქვენ გნებავთ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრის აშენება და სხვა ინიციატივებიც გვაქვსო. რა ინიციატივებია?**

– ძალიან კარგი კითხვაა: ეს ტერიტორიები, რაზეც ვსაუბრობ, არც ერთი არ არის ჩვენი საკუთრება, ესაა უნივერსიტეტზე გადმოცემული სივრცის მომიჯნავე ტერიტორია და ჩვენ ვერ ვწყვეტთ, იქ რა იქნება, ამას წყვეტს ან მერია, ან მთავრობა. მაღლივ კორპუსთან სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო აშენებს სპორტულ კომპლექსს და მივესალმები. ჩვენს შორის შეთანხმება გაფორმდება და სტუდენტები იქაც ჩაატარებენ შეჯიბრებებს. ნარმანია შეგვპირდა ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობას და ამასაც მივესალმებით. ასევე ბრენდული სწრაფი კვების ობიექტი თუ აშენდება, მივესალმებით. მაგრამ გაზგასამართი სადგურების ადგილი იქ არაა.

**— ძალიან სამწუხაროა...**

– გეთანხმებით, მაგრამ რახან მედია დაინტერესდა, იქნება ადეკვატური შედეგი.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ინსტიტუტების დაბრუნებას ცდილობთ. უცხოეთში ამდაგვარ ინსტიტუტებს მოაქვთ სახელმწიფოსთვის თანხები, ბიუჯეტზე არ არიან ჩამოკიდებული. ის ინსტიტუტები, რომელთა დაბრუნებასაც ითხოვთ, რამეს ქმნიან? ისინიც კისერზე ხომ არ ჩამოგეკიდებიან?**

– ჩვენი ინსტიტუტები ფუნდამენტური კვლევის ორგანიზაციებია, მათ აქვთ მიზერული პირობები და ხელფასები, ეს არაადეკვატური შრომაა, მოგეხსენებათ, მაღალინტელექტუალური შრომაა მეცნიერება და ამ დროს 14 ინსტიტუტი, რომელიც გადმოეცა უნივერსიტეტს, სავალალო მდგომარეობაშია, ეს მეცნიერები მუშაობენ და გრანტებს მოიპოვებენ, მათ შორის საერთაშორისო გრანტებს და ამით გააქვთ თავი, მაგრამ საუბარია, რომ მათ ჰქონდეთ ნორმალური პირობები, შენობები, სივრცე და, თუ ინსტიტუტს არ აქვს ბაზური დაფინანსება, ის გრანტის მომტანიც არ იქნება, მაგრამ, ასევე, სამწუხაროდ, ინსტიტუტების გადმოცემა ჰაერშია გამოკიდული.

**— თქვენ ამ გაზგასამართი სადგურის შესახებ ერთი ამბავი ატეხეთ და ვანო კიღურაძეს თუ მიაწვდინეთ ხმა? ჩვენ ვწერდით, თუ როგორ იბრძვის ის ასევე მათემატიკის შენობების დაბრუნებისთვის.**

– ბატონ ვანოსთან ამ კონკრეტული საკითხის გამო არ მისაუბრია, რადგანაც გასხვისებასთან პარლამენტს არ ესაქმება, მაგრამ ველაპარაკე მთავრობის წარმომადგენელს, მერიის ხელმძღვანელს და საკრებულოს.

**— და რატომ არა პრემიერს?**

– პრემიერთან დაკავშირება ასე ადვილი არაა, მაგრამ მას აუცილებლად დაველაპარაკები, როცა ამერიკიდან დაბრუნდება.

**— სტუდენტები დიდი ძალაა და ერთი დიდი აქცია რომ ჩაატარონ, ალბათ, ყველაფერს მალე მოევლება...**

– მე მივეკუთვნები პროფესორთა იმ ჯგუფს, რომელიც არასდროს მოუწოდებს სტუდენტებს ქუჩაში გამოსვლისკენ, ჩვენი სტუდენტები საკმაოდ აქტიურები არიან, მათ იციან ამ პრობლემის შესახებ და დანარჩენი მათი გადასაწყვეტია.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რა ვერ აპატია მარგველაშვილს ალასანიას გუნდმა?



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი გაეროში ვიზიტის სკანდალთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას „ფეისბუკის“ გვერდზე წერს:

„ყურადღება მიაქციეთ, რომ გაეროში ვიზიტის გარშემო ატეხილ სკანდალში განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან ალასანიას გუნდის წევრები? ფანჯიკიძე, წულუკიანი, დოლიძე, აბაშიძე, პეტრიაშვილი. რა, ვერ აპატიეს მარგველაშვილს, რომ ალასანია არ წარადგინეს პრეზიდენტად? თუ ცდილობენ, ამ აგრესიულობით ლოიალობა დაუმტკიცონ ღარიბაშვილს? თუ კონკურენტს ხედავენ მარგველაშვილში ხელისუფლებაში არსებულ პროდასავლურ ფრთაში? არ ვიცი. ფაქტია, რომ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს ანადგურებენ“, – წერს შაშკინი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოში ყოველდღიურად დაახლოებით 100-ზე მეტი აბორტი კეთდება




პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით:

„უკანონო აბორტებთან დაკავშირებით ისეთი ლიბერალური დამოკიდებულება, რაც საქართველოშია, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ არსებობს. ყველგან სასჯელი, სულ მცირე, 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. 2012 წელს 40 ათასი აბორტი დაფიქსირდა. ეს მხოლოდ რეგისტრირებული აბორტების მაჩვენებელია. გათვლით, ერთ დღეში 100-ზე მეტი აბორტი კეთდება, მაგრამ, არსებული ინფორმაციით, არის არარეგისტრირებული და კრიმინალური აბორტების ფაქტები“, – განაცხადა ხუნდაძემ.

ჯერ კიდევ მოქმედი „სისხლის სამართლის კოდექსით“ უკანონო აბორტი ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით – 100-დან 240 საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 1-დან 2 წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისთვის მსჯავრდადებული პირის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით 3 წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 3 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. უკანონო აბორტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

დეპუტატების დიმიტრი ხუნდაძისა და მირიან წიკლაურის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით კი, უკანონო აბორტი დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 300-საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 2 წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

ასევე მკაცრდება ნორმები იმ შემთხვევებში, როცა უკანონო აბორტმა გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6 წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. კანონპროექტი სასჯელის ფორმად ჯარიმას აღარ ითვალისწინებს. აბორტების თემაზე პარლამენტმა კიდევ ერთი ახალი ნორმა მიიღო, რომლის მიხედვით, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით, სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი 5 დღემდე გაიზარდა. (ინტერპრესნიუსი)



რა, მაგრამ ამას ხომ აღარ აქვს ისეთი ეფექტი?

მას შემდეგ, რაც პოლიციის მაღალჩინოსნის დაყაჩაღების ფაქტი არ დადასტურდა, ახლა აპირებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციების გავრცელებას. მაგალითად, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ შენობაში სეიფიდან ფული მოიპარეს. ალბათ, ამ ინფორმაციას ახლა გააუქმებენ და სააგენტოებიც ცოტა ფრთხილად იქნებიან“.

ზოგიერთი სააგენტოები იქნებიან თუ არა ფრთხილად, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, რადგან ისინი ფულს პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ ყულაბიდან იღებენ. დავუკვირდეთ ერთ რამეს, ამათი სქემა მარტივია – დღეში ერთი ისეთი ინფორმაცია უნდა შემოაგდონ, რომელიც საზოგადოებას აღაშფოთებს და ნიჰილიზმს გაუძლიერებს არსებული ხელისუფლების მიმართ. ეს არის შეთქმულების ერთი ნაწილი, რაც ბუნიდან“?!

„ალიას“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ფრიდონ ბარკალაია, იგივე „ცანციკა“, 1986 წლიდან აღარ არის „კანონიერი ქურდი“. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, „ცანციკა“ 40 წელია სენაკში ცხოვრობს, რატომ არ დააკავა თავის დროზე ვანო მერაბიშვილმა? როგორც ჩანს, „ნაციონალები“ კიდევ ბევრ ყოფილ დამნაშავესა და „კანონიერ ქურდს“ ამოიღებენ ნაფტალინიდან. თანაც ისეთები გააკეთებენ ამ საქმეს, ვისაც ახლო სანათესაოში ჰყავთ „კანონიერი ქურდები“, კრიმინალები და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები. სხვათა შორის, გივი თარგამაძე იმასაც ამბობს: მოვიდეს ალექსანდრე ჭიკაიძე, მეტყველების გამო არ დავცინებთო. გივია რომ ვინმეს მეტყველებაზე ილაპარაკებს, ღმერთი რატომ არ გადაიხარხარებს?

# „ნაციონალების“ გეგმის ერთი ნაწილი საზოგადოებაში მასობრივი ფსიქოზის დანერგვას ითვალისწინებს

მას შემდეგ, რაც „ალიაში“ შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელმაც „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალების მზადების მცდელობაში დაადანაშაულა, „ნაციონალები“ შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან და არნახული საინფორმაციო ომიც გააჩაღეს. ისედაც აგიზგიზებულ ცეცხლს ნავთი დაასხა ბიძინა ივანიშვილმაც, როდესაც განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კარგად მუშაობს და ვერც ალექსანდრე ჭიკაიძის ქმედებებში ხედავს განსაკუთრებულ სისუსტეს. ამაზე „ნაციონალები“ მთლად გადაირივნენ და მათ უკვე მთელი ძალებით აამუშავეს საინფორმაციო აფიორა გუშინ შექმნილი სააგენტოებისა თუ „რუსთავი 2“-ის საშუალებით.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, ნინო გიორგობიანი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „ნაციონალებს“ აქვთ ასეთი სქემა:

„ჯერ ვინმე ცნობად სახეს დააწერინებენ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პროვოკაციულ ინფორმაციას, ვითომ სადღაც ვიღაცა დააყაჩაღეს, ან მოკლეს, ან დაჭრეს, შემდეგ ამას იტაცებენ მათივე სააგენტოები, რეკავენ ჩვენთან, ვუხსნით, რომ ეს არის სიცრუე და გამოგონილი ამბავი, მაგრამ მაინც ქვეყნდება ჩვენი კომენტარის გარეშე“.

რასაკვირველია, როდესაც ესა თუ ის სააგენტო ყალბ ინფორმაციას აქვეყნებს ცალმხრივად და ყურადღებას არ აქცევს ოფიციალური უწყების განმარტებას, ეს უკვე პროვოკაციაა. მაგალითად, ასეთი საინფორმაციო შტურმი განხორციელდა 16 სექტემბერს, როდესაც „ნაციონალებმა“ თაღლითური „ფაქტი“ შემოაგდეს:

„კრიმინალური სამსახურის ხელმძღვანელი დააყაჩაღეს. გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი ორთაჭალაში მოხდა. თავდამსხმელებმა კრიმინალური სამსახურის ხელმძღვანელს, ვანო პაპიაშვილს ფული და პირადი ნივთები წაართვეს. შემთხვევის ადგილზე პოლიციაა მობილიზებული“.

საქმე გაკეთებულია, კი იძახა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ეს სიცრუეაო, მაგრამ ჯერ ერთი, აქ ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, სამინისტრო რაღაცას მალავდეს, რაკი საქმე მის მაღალჩინოსანს ეხება და მეორეც – როდესაც ინფორმაცია ასეთი დამაჯერებელი, ანუ მტკიცებულებითი ფორმით გადის, ხალხი ამ განმარტებას ცალკე ყურს ან მოჰკრავს, ან – არა.

ნინო გიორგობიანის თქმით, დეზინფორმაცია, რომელიც „პირველმა რადიომ“ გაავრცელა, თითქოს დააყაჩაღეს პოლიციის მაღალჩინოსანი, „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში გაიმეორა მიხეილ მაჭავარიანმა:

„მე ვესაუბრე გადაცემის პროდიუსერს და ვუთხარი, რომ ეს არის ცრუ ინფორმაცია. გადაცემის წამყვანმა შეცდომა ბოლოს გაასწორა, მაგრამ ამას ხომ აღარ აქვს ისეთი ეფექტი?

მიმართულია პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, ერთ-ერთი საკვანძო უწყების მიმართ. მიხეილ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, საიდან უნდა დაიწყოს. სწორედ იქიდან, საიდანაც 2003 წელს დაიწყო. მაგალითად, უკვე 17 სექტემბერს „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა და პროვოკაციების უბადლო მჭედელი, გივი თარგამაძე პარლამენტში, სესიაზე გამოსვლისას ამტკიცებს, რომ თურმე სენაკში ცხოვრობს „კანონიერი ქურდი“, ფრიდონ ბარკალაია, რომელიც თავისუფლად დასეირნობს. თარგამაძე იქვე ამბობს, რომ ბარკალაია არის დაბადებული 1938 წელს. მისი დავთრების მიხედვით, ის გამოდის 77 წლის. ამაზე ნინო გიორგობიანი ასეთ განმარტებას აკეთებს:

„ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ კანონიერი ქურდი – მეტსახელად „ცანციკა“, ანუ ფრიდონ ბარკალაია სენაკში იმყოფება და მოგვიწოდა, რომ დავაკავოთ. მინდა განვმარტო, რომ აღნიშნული პირი არ არის კანონიერი ქურდი. ის 77 წლისაა და მთელი ცხოვრება სენაკში ცხოვრობს. რატომ შეჰყავს შეცდომაში დეპუტატს მოსახლეობა პარლამენტის ტრიბუნიდან“?!

მოკლედ, ასეა თუ ისე, თუ „ნაციონალების“ მიერ წამოწყებული ბინძური კამპანია სამართლებრივმა ძალამ არ შეაჩერა, ჩვენ კიდევ ბევრ „სიურპრიზს“ უნდა ველოდოთ, რაც საზოგადოებაში მასობრივ ფსიქოზს გააძლიერებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინელი ბავშვები უკვე ანაკლიის ბანაკში იმყოფებიან




საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში არსებულმა ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრმა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში სამხედრო მოქმედებებისა და აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ახალგაზრდები „მომავლის ბანაკში“ ჩამოიყვანეს. მოზარდები ანაკლიაში 16-დან 30 სექტემბრამდე დაისვენებენ.

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ ახალგაზრდებისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო მოქმედებებისა და აგრესიის შედეგად დაზარალებული ბავშვების რეაბილიტაციასა და ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნების ხელშეწყობას. პროგრამა დატვირთულია როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი აქტივობებით.

უკრაინელი ახალგაზრდები ჩაერთვებიან სპორტულ აქტივობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი. მონაწილეობას მიიღებენ კინოჩვენებებსა და ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“, იმოგზაურებენ აკვაპარკსა და მარტვილის კანიონში. მოინახულებენ დადიანების სასახლეს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაპირისპირებები პარლამენტში




პარლამენტში სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვას სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. კოდექსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობისთვის სისხლის სამართლის ყველა საქმის დაქვემდებარების გადავადება ორი წლით უნდა მოხდეს. ცვლილებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს ინიციატივას საპარლამენტო უმცირესობა არ ეთანხმება. მათი თქმით, ხელისუფლება ცდილობს, სასამართლო პროკურატურამ მართოს.

„მთელი ამ ხნის განმავლობაში მახინჯი კანონმდებლობის გამოსწორებით ვიყავით დაკავებული. თუ გაინტერესებთ, კონკრეტულად გეტყვით, რას ვაკეთებდით, რომელიც თქვენ ნაჩქარევად და დაუფიქრებლად მიიღეთ. ჩვენ დავაბრუნეთ სასამართლო დარბაზებში ვიდეოკამერები. თქვენ ადვოკატებს ჩხრეკის გარეშეც არ უშვებდით სასამართლო დარბაზებში. როდესაც თქვენ დეკლარირება გამოაცხადეთ სისხლის სამართლის კოდექსში შეჯიბრებითობის პრინციპის და სინამდვილეში აბსოლუტურად უთანასწორო ბრძოლაში ტოვებდით დაცვის მხარეს ბრალდებულთან. ჩვენ ამ მხრივ უზარმაზარი ცვლილებები შევიტანეთ. მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ“, – მიმართა ალექსანდრე ბარამიძემ უმცირესობას.

მანამდე კიდევ ერთი დაპირისპირება მოხდა. გივი თარგამაძემ პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის მისვლა და ბოლო პერიოდი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვა.

„არაუშავრს რომ ის ცუდად მეტყველებს, პირობას გაძლევთ, რომ არ დავცინებთ მას ისე, როგორც თქვენ დასცინით ხოლმე, პარლამენტში სტუმრობისას. მით უმეტეს მგონია, თქვენც აღარ დასცინებთ, ვინაიდან თქვენმა ფორმალურმა მეპატრონემ განაცხადა, რომ ის თავადაც ცუდად მეტყველებს და ეს მხოლოდ ზედმეტი წესიერების ნიშანია. ერთადერთი შენიშვნა, რაც ჭიკაიძემ ივანიშვილის მხრიდან მიიღო, ხელში დანა არ ატრიალოს, ამ ხელს, ალბათ, ბატონი ჭიკაიძე სხვა რამით დაიკავებს. თქვენი სიჯიუტე კი, საბოლოო ჯამში, კრიმინალურ სიტუაციას მიიყვანს იმ დონემდე, რომც მოინდომოთ, უკვე ველარ გააკონტროლებთ“, – განაცხადა თარგამაძემ.

მას უმრავლესობის წევრებიდან პასუხი ვიქტორ დოლიძემ გასცა:

„მე რომ შენი ვიყო გივი, ამდენს არ ვილაპარაკებდი, ცოტა სინდისი შემაწუხებდა, მაგრამ სად გაქვს შენ სინდისი. ხო, ჩუმად იყავი-მეთქი, მე გისმენდი, რომ ლაპარაკობდი. უხერხულია უკვე, ეს ხალხი რომ საუბრობს. ჯობია, რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ, იმიტომ, რომ ხალხს დასკვნა გამოაქვს, მაგრამ არის რაღაც დონე, რასაც არ უნდა გადასცდე. სირცხვილია ელემენტარულად“. – განაცხადა დოლიძემ. (რეპორტიორი; ნიუპოსტი)



# თუ „თავისუფალი ზონა“ არ გაუქმდება, „ჯოჯოხეთის მოწყობით“ ემუქრებიან

**არასამთავრობო ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში „თავისუფალი ზონა“ აგრესიულ საპროტესტო ქმედებებს დაიწყებს, შეეცდება, შექმნას „ფორსმაჟორული“ სიტუაციები და ქაოსური ვითარება ქვეყანაში. ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ „მზაკვრული გეგმების შემსრულებლებს“ მოუწოდებს, გამოაცხადონ თვითლიკვიდაცია, „წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პოლიტიკურ ჯოჯოხეთს მოვუწყობთ!“-ო და დასძენენ, „ზონელებს“ კანონის ჩარჩოებში დავუპირისპირდებითო.**

**„ალიას“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ლადო, კონკრეტულად რა ქმედებებს ელოდებით „თავისუფალი ზონელებისგან“?**

– მათგან მხოლოდ აქციებს არ ველოდებით. მე მათ ვუწოდე „კიტოვანის სულიერი შვილები“, „პატარა კიტოვანები“. თუ თვალს გადაავლებ „ზონელების“ წარსულს, მათს „ფეისბუკის“ გვერდებს, ნათელი გახდება, რომ ისინი ტრენინგებს გადიოდნენ იმ მემარჯვენე სექტორთან ერთად, რომლებიც უკრაინის ამბების დროს კიევურ მაიდანზე იმყოფებოდნენ, ხალხს უსწორდებოდნენ და „ზონდერბრიგადებს“ ქმნიდნენ. ეს ხალხი პარლამენტშიც არის წარმოდგენილი. უამრავი ფოტო მაქვს ნანახი ამ ბიჭების, რომელთაც ხელში ავტომატები უჭირავთ. ეს არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, ეს არის კრიმინალურ-ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც რომელიმე დღეს მიიღებს ბრძანებას. მაგალითად, გაეღვიძება უგულავას ციხეში და იტყვის, – აი, დღეს არის, ბიჭებო, დარტყმის დღე. მერე ამის მტკიცებულებად გამოგზავნის წერილს, ესენი შეიარაღდებიან და თბილისში დაიწყება არეულობა. ამისთვის ესენი დიდი ხანია ემზადებიან.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

**— მე ვსწავლობდი უნივერსიტეტში და ვიცოდი, რომ ამის შემდეგ დავიწყებდი კარგ სამსახურს. ესენი განათლებას იღებდნენ ავტომატებით ხელში, წვრთნებით, ტრენინგებით. რისთვის ემზადებოდნენ, თუ არა იმისთვის, რომ „ნაციონალების“ კუდის მოქნევა იქნება თუ კიევის მაიდანის გადმოტანა, მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. ბოლოდროინდელ განცხადებებს დააკვირდით, მინისტრი გამოდის და დარწმუნებით ამბობს, რომ აქვს მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ ინფორმაცია. ამას ხომ ტყუილად არ იტყვის, მით უმეტეს, რომ მთელი ევროპა გვიყურებს. როცა ძალოვანი მინისტრი ამაზე ისაუბრებს, იქ ორი აზრი არ არსებობს. გავრცელდა უგულავას წერილი, სადაც გეგმაზე საუბრობს, კი უარყო მერე, მაგრამ აბა, რას იზამდა?**

ამ ორგანიზაციაში ბევრი კრიმინალია. მე მაქვს ტრანსვესტიტთან ერთად გადაღებული კრიმინალის ფოტო, რომელიც იყო ე.წ. „მალალეტკების“ მაყურებელი, რომელიც დღეს არის „თავისუფალი ზონის“ წევრი. ჩვენივე ძალით გადავამოწმეთ ბევრი მათგანი და დადასტურდა მათი კრიმინალური წარსული.

**— მერე ამ კრიმინალებს როგორ დაუპირისპირდებით? როგორ აპირებთ შეწინააღმდეგებას?**

– ჩვენ ვფლობთ ინფორმაციებს მათი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ყველა ორგანიზაციაში არსებობს ერთი მაინც ნორმალური აზროვნების ადამიანი, ვისგანაც შეიძლება ინფორმაციის მიღება. სწორედ მათგან გვაქვს ინფორმაციები, რა დესტრუქციული ქმედებებისთვისაც დაიწყებენ მზადებას, იქვე გავჩნდებით. ჩვენი ოფისი არის მაჩაბელის №6-ში. ასეთ ცენტრალურ ადგილას იმის გამო განვთავსდით, რომ 24 საათის მანძილზე ვიყოთ მზადყოფნაში.

**— კი ამბობთ, კანონის ჩარჩოებში შევებრძოლებითო, მაგრამ ხომ იცით, თქვენი მათთან გამოჩენა რომ დაპირისპირებაში გადაიზრდება?**

– დიახ, ამასაც ვაცნობიერებთ, ამისთვის ვაკეთებთ პრევენციულ აქციას. არ დავასახელებ დღეს შეგნებულად, მაგრამ ვაპირებთ, მივიდეთ მათ ოფისთან და მოვთხოვთ მათ თვითლიკვიდაციას. კანონის ფარგლებში ვისაუბრებთ, ხალხს გავაგებინებთ, რა ძალაა ეს. ყველა რომ ამაზე ვისაუბრებთ, შსს-ს ხელ-ფეხი გაეხსნება და ამ ბანდფორმირებას აღკვეთს. ჩემი აზრით, მინისტრი ჭიკაიძე ელოდება ჩვენი ხმის ამოღებას. ჩვენს ქვეყანაში რა ხდება, გაურკვეველი ტონით არ უნდა საუბრობდნენ ამაზე ევროპელები და ამერიკელები. მერე აღარ იტყვიან, უსამართლოდ აპატიმრებთ „ნაციონალებსო“. ისიც ხალხის მოთხოვნა იყო და ესეც ხალხის მოთხოვნაა. იძულებული უნდა გავხადოთ „თავისუფალი ზონელები“, რომ გაუქმდნენ.

**— აქამდეც იყვნენ ეგენი და ახლა რატომ გააქტიურდით მათ წინააღმდეგ?**

– კარგად იცი, რომ საფრანგეთში ვცხოვრობდი, ფეხი ფეხზე მქონდა გადადებული, მაგრამ ჩამოვედი იმიტომ, რომ ვიგრძენი საქართველოში სტაბილურობა. დღეს ვხედავ, რომ ეს პატარა ადამიანები აწყობენ აქციებს, დესტაბილიზაციას... არ გამოვრიცხავ, რომ ერთმანეთსაც ურტყამენ და მერე ამბობენ, კრიმინალის დონემ აიწიაო. სამომავლოდ აპირებენ, რომელიმე „ზონელი“ გაწირონ, ნაციონალებს სჩვევიათ თავიანთი გუნდელის გაწირვა, როცა სჭირდებათ. ვინმეს მოკლავენ და ატეხენ ამბავს. მე ამას ვხედავ, შევხვდი ჩემს მეგობრებს, დავილაპარაკე მათთან და გავერთიანდით მათ წინააღმდეგ.

**— მხოლოდ ეს არის თქვენს გეგმებში? კიდევ რას აპირებთ?**

– ამ ეტაპზე მხოლოდ მათთან ბრძოლაში ვერთვებით.

**— მათ ჯოჯოხეთს ჰპირდებით. რა არის ეს ჯოჯოხეთი, რაში გამოიხატება?**

– უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არ ვიქნებით თავდაცვის რეჟიმში, ვიქნებით თავდასხმის რეჟიმში. ჩემს თანამოაზრეებს მათზე უამრავი ინფორმაცია აქვთ მოპოვებული. მოვიგებთ ნებისმიერ ინფორმაციულ ომს, ვართ მზად შეხლა-შემოხლისთვისაც. რა ძალითაც ისინი ჩვენზე გადმოვლენ, ორმაგად დავარტყამთ. ჩვენ არ ვიქნებით მაპროვოცირებელი ძალა. ჩვენ მზად ვართ, თუ ქუჩაში მივდივარ და თავს დამესხმებიან, წინააღმდეგობა გავუწიო, მე არ იქნება კრიმინალი, არ მოვიქცევი უკანონოდ, ეს თავდაცვა იქნება.

**— როცა ახალი ორგანიზაცია იქმნება, სულ ამბობენ ხოლმე, ვიღაცა დგას მათ უკანო. გულწრფელად მითხარით, თქვენს შემთხვევაში როგორაა ეს ამბავი?**

– მე მაქვს სუფთა წარსული და რასაც ვფიქრობდი ყოველთვის, იგივეს ვფიქრობ. არც ერთ პარტიაში არ ვარ და შეუძლია ყველას გადაამოწმოს. საკმარისი რესურსი გვაქვს იმისა, რომ დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ და არავინ გვმართოს.

**— მომისმენია თქვენზე, ხელისუფლება დგას მათ უკანო.**

– როგორც უნდათ, ისე იფიქრონ. მე და ჩემი თანამოაზრეები მოტივირებული ვართ მშვიდი ცხოვრებისთვის. ახლა არის არეულობის მცდელობა და მე ვიცავ ჩემს თავისუფლებას, ჩემს სიმშვიდეს. ახლა უნდათ „ოცნებისტი“ მეძახონ და უნდათ „ბურჯანაძისტი“. აქვე დავსძენ, რომ ვერც რუსეთთან მიმაკერებენ, რუსეთს მტრად მივიჩნევ, ეს რუსი აგრესორად მე დამიყენა 20 კილომეტრში „ნაციონალურმა მოძრაობამ“. თუ „ნაცები“ დაბრუნდებიან, არ ვარ დაზღვეული, რომ თბილისში შემოვლენ. ეს არის პირველი საფეხური ჩვენი ორგანიზაციისთვის, ვაპირებთ ბრძოლას „ნაციონალური მოძრაობის“ და მასთან ასოცირებული პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 18 სექტემბრიდან საქართველოში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი



მეტეოროლოგების ინფორმაციით, 18 სექტემბრიდან აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 20 სექტემბრიდან დასავლეთ საქართველოშიც ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი.

აღმოსავლეთ საქართველოში 18-19 სექტემბერს მაქსიმალური ტემპერატურა 19-21 გრადუსი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია წვიმა, ზოგან შესაძლებელია ელჭექი და ნისლი. 20 სექტემბრიდან აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა 4-5 გრადუსით მოიმატებს, მაგრამ არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება.

20 სექტემბრიდან აგრილდება დასავლეთ საქართველოში, მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება 4-5 გრადუსით. უმეტეს რაიონებში იწვიმებს, ზოგან შესაძლოა, ძლიერადაც და ელჭექის თანხლებით (ნიუპოსტი)

## ცხინვალის ადმინისტრაციული საზღვარი იკეტება

ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი 18-დან 21 სექტემბრის ჩათვლით ისევ ჩაიკეტება, რადგან 20 სექტემბერს ე.წ. „რესპუბლიკის“ დღეს აღნიშნავენ. შეზღუდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია.

ცნობისთვის, საზღვარი პირველად არ იკეტება, დე ფაქტო ხელისუფლება შეზღუდვებს პერიოდულად აწესებს, რაც საშუალოდ 4 დღე ვრცელდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოკუპანტებმა ვანიშვილი 5 ათასი რუბლის სანაცვლოდ გაათავისუფლეს



ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხურვალეთიდან გატაცებული დავით ვანიშვილი გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვანიშვილების ოჯახს საოკუპაციო რეჟიმისთვის თავისუფლების სანაცვლოდ 5 ათასი რუსული რუბლის გადახდა მოუწია, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად ამ დრომდე არ დასტურდება, რადგან დავით ვანიშვილი არც თანასოფლელებთან და არც ჟურნალისტებთან არ საუბრობს.

ის შეიარაღებულმა ოკუპანტებმა 16 სექტემბერს დილის საათებში სოფელ ხურვალეთთან იმ დროს დააკავეს, როდესაც სოფელში პენსიის ასაღებად იყო გასული და საკუთარ სახლში ბრუნდებოდა.

ვანიშვილი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად 2012 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა მავთულხლართები გაავლეს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მას ოკუპანტები ნათესავებთან კომუნიკაციის უფლებას უკრძალავდნენ და ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაზე უარს ეუბნებოდნენ. თუმცა ვანიშვილი ყოველთვე პენსიის ასაღებად და სურსათის შესაძენად ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას მაინც ახერხებდა. (ნიუპოსტი)

## ავტობანის 40-კილომეტრიან მონაკვეთზე წელს მოძრაობა გაიხსნება



საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ოქტომბერში ექსპლოატაციაში ქუთაისის შემოვლითი გზის 32-კილომეტრიანი მონაკვეთი, წლის ბოლომდე კი რუისი-აგარის 11-კილომეტრი შევა.

რუისი-აგარის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები სრული დატვირთვით, 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით მიმდინარეობს. 19-კილომეტრიანი მონაკვეთის ღირებულება 70 მილიონი ლარია და მისი მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება. აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთზე კი მოსამზადებელი სამუშაოები გრძელდება, 12-კილომეტრიანი მონაკვეთის ღირებულება 105 მილიონ ლარს შეადგენს, მშენებლობა სამუშაოების დაწყებიდან 27 თვეში დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## „ხმაურისა და მძვინვარების აკრძალვა არაა ხო ქართველობის წართმევა?!“



სცენარისტი ქეთი დევდარიანი სოციალურ ქსელში, თბილისის საკრებულოს დეპუტატის ალეკო ელისაშვილის მიერ დაანონსებულ კანონპროექტს გამოეხმაურა.

„საღამოობით ხმაურისა და მძვინვარების აკრძალვის ინიციატივით რომ გამოდის ალეკო ელისაშვილი, ეგი არაა ხო ქართველობის წართმევა?!“ – წერს დევდარიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. სტატუსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ზოგი ელისაშვილს უჭერდა მხარს, ზოგმაც მას „ქოცი“ უწოდა.

დევდარიანის ერთმა ფეისბუკმეგობარმა კი სტატუსი ასე ორაზროვნად დააკომენტარა: „დაჩაჩანაკდა ქართველი, არა ხმაური, არა ნაგვის დაყრა, არა უადგილო ადგილას პარკირება, არა ლუდის სმა კორპუსის ეზოში. აღარ არის თავისუფლების განცდა ქართველში“.

ცნობისთვის, ალეკო ელისაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და იურიდიული კომისიები საზოგადოებრივ სივრცეებში ხმაურის რეგულირებაზე მუშაობენ.

*pia.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი: „ესენი მალე მერხზე „ჟუვაჩკასაც“ დაუკრავენ ერთმანეთს და თმებსაც მოწიწკნიან“



ჟურნალისტი პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ დაპირისპირებას და ამ ორი უწყების გასაჯაროებულ მიმოწერას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

– ესენი მალე მერხზე „ჟუ(ვ)აჩკასაც“ დაუკრავენ ერთმანეთს და თმებსაც მოწიწკნიან. მთავარია, სკამზე ჭიკარტის დადებაზე არ გადავიდნენ. პოსტს ვწერ ქვეყნიდან, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ს ვიზიტიდან ტეხავს... – წერს ჟურნალისტი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

## რით ამაყობს კესარია აბრამიძე – „ფეხის წვერებზე აწეული უყურებდა ბუნკერს, იქნებ რამე საჭმელიც იყოსო“



კესარია აბრამიძე „ფეისბუკზე“ სტატუსს აქვეყნებს, სადაც მისი დის ქველმოქმედებაა აღწერილი.

– რამდენიმე კვირის წინ ჩემი პატარა და მაღაზიაში ჩავიდა. იქვე თურმე მამა და 3 წლის შვილი ნაგვის ბუნკერში საჭმელს ეძებდა და, სამწუხაროდ, მხოლოდ სპრაიტის ბოთლში სულ ცოტაოდენი სპრაიტი ესხა და მამამ შვილს მიაწოდა.

ბავშვს ძალიან გაუხარდა და უცებ გადაკრა და დალია. ფეხის წვერებზე აწეული უყურებდა ბუნკერს, იქნებ რამე საჭმელიც იყოსო. აი, ამ სცენას წააწყდა ჩემი ანასტასია და ძალიან დათრგუნული ამოვიდა და ფული მთხოვა. რა თქმა უნდა, მივეცი და წამში გაქრა.

ტელეფონი დატოვა, რამდენიმე საათი დაიკარგა. როცა დაბრუნდა, მომიყვა, აბსოლუტურად სხვა ქუჩაზე უპოვია დიდი ძებნის შემდეგ მამა-შვილი და საჭმელი უყიდია. მამამ მოუყვა თავისი ისტორია, რომ წერა-კითხვაც კი არ იცის და ძალიან გაჭირვებით ცხოვრობენ და საჭმლის მოსაპოვებლად უწევთ გამოსვლა ყოველდღე მრავალშვილიან ოჯახს. თურმე რამდენიმე ბავშვი სკოლაშიც მიდის. რა თქმა უნდა, არც ტანსაცმელი ჰქონიათ. ამის შემდეგ ჩემს დას შეუგროვებია თბილი ქურთუკები, სასკოლო მაისურები. დაუბარებია იქვე მარკეტში და გადაუცია. საკონტაქტო ნომერიც მიუცია. მობილურ ტელეფონს დაჰპირდა და კიდევ წიგნებს. უთქვამს, რითიც შევძლებ, დაგეხმარებითო.

მე მის ასაკში ნამდვილად არ მომივიდოდა აზრად მსგავსი რამ. თუმცა ძალიან შემეცოდებოდა. მიხარია, რომ ის ასეთი კეთილშობილია და ქველმოქმედი. მეც დამაინტერესა ამ თემით და გადავწყვიტეთ, უპატრონო ბავშვთა სახლებს ვესტუმროთ და შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ.

აღფრთოვანებული ვარ მისი თითოეული ნაბიჯით. ის ჩემი გაზრდილია და მეამაყება ისეთი დის ყოლა, როგორიც ანასტასიაა. დიდი მადლობა ჩემს დას ყველაფრისთვის და აუცილებლად დავეხმარები მსგავსი ჩანაფიქრების განხორციელებაში.

*reitingi.ge*

## „ვიდრე პირში სული მიდგას, ჩემი შვილისგან ყოველ წუთს შოკში ვიქნები“



ნიკა გრიგოლია გიჟი მამაო, ამბობენ და ადასტურებს:

– გულწრფელად გეტყვით, არასოდეს არავინ და არაფერი ისე არ მეყვარება, როგორც ნიკო მიყვარს. მაგიჟებს. ვიდრე პირში სული მიდგას, ჩემი შვილისგან ყოველ წუთს შოკში ვიქნები. მის გარდა, ამქვეყნად არაფერი მაოცებს. ჩემთვის სამყარო მთლიანად მის გარშემო ბრუნავს. ასეთი თამაში გვაქვს – მიყვარხარ-მეთქი, რომ ვეუბნები, მე უფრო მიყვარხარო, მპასუხობს. მე ამ მანქანისხელაზე მიყვარხარ-მეთქი, ვაგრძელებ, მერე ის უფრო დიდ მანქანას მაჩვენებს. მერე მე შენობაზე გადავდივარ, ის ქალაქზე, მე ქვეყანაზე, ის დედამიწაზე... რომ ველარ „მოვუგე“, ვუთხარი, მე ღმერთზე ძალიან მიყვარხარ-მეთქი. ნიკომ წააპაუზა, შემომხედა და მეუბნება – მე ღმერთზე ძალიან არ მიყვარხარო! ვიეჭვიანე... სუპერკაცუნა მყავს.

წარმოდგენა არ მაქვს, ვინ გამოვა, ვინც თვითონ უნდა, ის გამოვიდეს. სამი წლიდან აკვიატებული აქვს, – არქიტექტორი უნდა გამოვიდეო. „ლეგოს“ კონსტრუქციას ჩემზე ორჯერ სწრაფად აწყობს. ვეცდები, თავის დროზე სწორად შევნიშნო, სინამდვილეში რა უნდა. რასაც გადაწყვეტს, იმასაც მივიღებ და მოვუწონებ.

*primetimenews.ge*

## მაია დარსმელიძის ექსპერიმენტი – „ჩემს ოთახში ჩავიკეტე და ერთმანეთს 30 უძილო საათი გადავაბი“



მუსიკოსმა საკუთარი ძალები რეჟისორის როლში მოსინჯა. მისი თქმით, მისი ექსპერიმენტი ხალხს ძალიან მოეწონა.

– სანამ მესამე პროექტზე, რომელიც უკვე დავგეგმე, მოვყვები, მინდა, ორიოდე სიტყვით მოგიყვეთ: ჩემს ორ წინა პროექტზე: პირველი პროექტი (MaoBand & Georgia State Philharmonic _ Finfd Me, Here I am) იყო აკადემიური, მე და ნიკოლოზ რაჭველმა გავაერთიანეთ სიმფონიური და ელექტრონული მუსიკა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ლაივში დაიმიქსა ორკესტრი და პროცესორები. სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვიყვანეთ ინგლისელი ხმის რეჟისორი – ჟერარ ალბო, რომელიც ახმოვანებდა ემი უაინჰაუსის, როიშინ მერფის ლაივებს. ჟერარის დამსახურებით პირველად საქართველოში მსმენელმა მოისმინა მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, უნაკლოდ გახმოვანებული კონცერტი. დარბაზში სასწაული საუნდი იდგა; მეორე პროექტში (Replace _ Mao & The Mins Project) გადავიხარე თრიპ-ჰოპისა და დაბსტეპისკენ. გადავეკვეთე ძალიან საინტერესო მუსიკოსებს, ჯგუფს The Mins-ს და, აქ უკვე, პირველი პროექტისგან განსხვავებით, მძიმე ელექტრონული ჟღერადობა მივიღეთ. პროექტი იმდენად კარგი გამოვიდა, რომ გადავწყვიტეთ, ერთი ტრეკის ჩაწერა. მივედით „მინსების“ სარეპეტიციოში და ლაივი ჩავწერეთ. ცოტა ხანში გავემგზავრე ამსტერდამში, სადაც „თავში დამარტყა“ ვიდეოს შექმნის იდეამ. მოკლედ, თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩემს ოთახში ჩავიკეტე, ერთმანეთს 30 უძილო საათი გადავაბი და დავამონტაჟე. არ ვარ პროფესიონალი რეჟისორი და, უბრალოდ, გავერთე. მერე ხალხის აზრმა დამაინტერესა და „იუთუბიზე“ ავტვირთე. მსმენელს ძალიან მოეწონა. ვიდეოექსპერიმენტმა, როგორც ჩანს, გაამართლა; რაც შეეხება მესამე პროექტს, რომელსაც ვამზადებ, ჩანაფიქრს წინასწარ არ მოვყვები, მაგრამ ერთს ვიტყვი – ისევ რადიკალურად განსხვავებული იქნება. მესამე პროექტსაც აუცილებლად გადავიღებ. ვინც კონცერტზე ვერ მოხვდება, მოგვიანებით საშუალება ექნება, იხილოს ჩემს „იუთუბის“ არხზე, – აცხადებს დარსმელიძე.

*ambebi.ge*

## ერთი კეთილი რეკომენდაცია თინა მახარაძისგან



მსახიობი სოციალურ ქსელში „Stay Healthy. Eat healthy and just do these YOGA exercises every day“ ვიდეოს იზიარებს და საზოგადოებას ურჩევს, მათაც ის გააკეთონ, რასაც ვიდეოში ქალბატონი აკეთებს.

– ერთი კეთილი რეკომენდაცია: თუ ძალიან დატვირთული გრაფიკით ცხოვრობთ, არ გაქვთ თუნდაც ნახევარსაათიანი ვორქაუთების საშუალება, არადა დილაობით გინდათ, ივარჯიშოთ ან იოგა აკეთოთ, არ შეგიძლიათ ამ ტრენერი და იოგი სუპერ-სუპერ ნაშების ბლა ბლა ბლა „იუთუბიზე“ (ჰეი, ამ ქორთნი... იუ ქენ ქიფ ფრაქთისინგ ვიზ მი... სით მორ ქომფორთაბლი ინ ენი ქროს-ლეგდ ფოზიშენ ...ვანა ფილ იორ ჰიფს გრაუნდიდ... ოქეი. ველდან. ოქეი, გუდ ჯობ... ბლაჰ ბლაჰ), ამით დაიწყეთ. არაჩვეულებრივი ქალია, ტვინს არ ჭამს. ყველაფერი სწრაფად, მშვიდად, ლამაზად. რამე მანტრაც დაურთეთ გვერდით თაბში, – წერს მახარაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ბებია-ბაბუამ შვილიშვილს პორნოგრაფიის ყურებისას წაასწრო. ხმის ამოუღებლად უყურეს ეპიზოდს, შემდეგ კი ქმარმა ცოლს მოულოდნელად შემოარტყა.

– რას აკეთებ, შე ბებერო, სულ გადაირიე?! რას მირტყამ?!

– რატომ გირტყამ და რამდენჯერ გითხარი, ასე შეიძლება-თქო, შენ კი სულ მპასუხობდი, – დავიხრჩობი, დავიხრჩობიო...

*****

– ბიჭებო, ახლა კოტე მოვა და ვისაც პირველს მიესალმება, ის იქნება კვერცხი!

მოვიდა კოტე:

– ვააა, გაუმარჯოს ბიჭებს!..

*****

– რას ჰგავხარ, ისევ დალიე, არა?! ჰოდა, წაეთრიე ახლა ისევ იქ, სადაც ასე გამოტყვერი!

– გასაგებია... ალო, კოტე, ყველაფერი რიგზეა, ვბრუნდები...

*****



გოგო ბიჭს:

– პაემანზე მოხვედი და ყვავილების გარეშე?!

– რას ამბობ – ტრუსებზე სულ გვირილები მახატია...

*****

განცხადება გაზეთში:

– სერიოზული ორგანიზაცია ეძებს გამოცდილ ჰაკერს და სთავაზობს მაღალანაზღაურებად სამსახურს. რეზიუმე განათავსეთ ჩვენი ორგანიზაციის ოფიციალური საიტის მთავარ გვერდზე...

*****

– კოტიკო, გიყვარვარ?

– კაპიკი ფული არ მაქვს!

– ოოო, რა სულ ეგრევე ფულზე იწყებ ხოლმე ლაპარაკს, მე ხომ გრძნობებზე ვსაუბრობ...

– მიყვარხარ, ჩემო ლამაზო, ძალიან მიყვარხარ!

– ეჰ, აწი აღარ აქვს უკვე აზრი...

*****

მიფრინავს ამერიკული კოსმოსური ხომალდი. გადაუფრინეს საქართველოს და ტელესკოპით გადმოხედეს. ერთი ეუბნება მეორეს:

– ეს რა არის, ყველა ქართველი საჯდომით რომ არის მობრუნებული, ჩვენდამი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ?

– არა, კაცო, რა დამოკიდებულება – კარტოფილის მოსავალს იღებენ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ყველაზე უჩვეულო ღვინოების რეიტინგი



ქართველი, განსაკუთრებით კი, კახელი კაცისთვის, ალბათ, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ღვინო, ყურძნის გარდა, სხვა პროდუქტისგან დამზადდეს, თუმცა მეორე საკითხი ის გახლავთ, ვინ რამდენად სუფთა და ტრადიციული მეთოდებით აწარმოებს ვაზის ნაყურს. იქნებ, ათასჯერ გამოწურულ ყურძნის მტევნებს ისევ ფორთოხალი ან გნებავთ, ხავსი სჯობდეს, რას იტყვით?

– ესპანეთი, ქვეყანა, რომელიც ღვინის წარმოების მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახელმწიფოა, ძირითადად ღვინის წარმოებისთვის ტრადიციულ ტექნოლოგებს იყენებს, თუმცა ფაქტია, რომ იქაურები არც ფანტაზიის უქონლობას უჩივიან.

თურმე, ესპანელებმა გაყიდვაში საკმაოდ ორიგინალური სასმელი გამოუშვეს, რომელსაც სახელად ფორთოხლის ღვინო დაერქვა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდებაცა და ფერიც ფორთოხალს უკავშირდება, მისი ჩამოსხმისას ციტრუსი რეალურად, არც არავის გამოუყენებია.

ტექნოლოგების განმარტებით, ფორთოხლის ღვინო მოსკატელის ჯიშის თეთრი ყურძნისგან მზადდება, ციტრუსის არომატსა და ფერს კი ის სპეციალურ კასრებში შენახვის შედეგად იძენს, რომლებიც შიგნიდან ფორთოხლის კანებითაა „მოპირკეთებული“.



სპეციალურ კასრებში ესპანელები ღვინოს 5 წლის მანძილზე აჩერებენ, რა დროსაც ჩვეულებრივი ყურძნისგან მიღებული სასმისი ფორთოხლის მონათესავე ხდება.

– ხავსის ღვინო – საზღვაო ბიოლოგმა ინეც ლინკემ ღვინო ბალტიის ზღვის ხავსისგან ჩამოასხა, რომლის ალკოჰოლის შემცველობა 16 პროცენტს უტოლდება.

სასმელის სახელწოდება „ლამინარია“ გახლავთ. შეფერილობით ის სიდრს ჩამოჰგავს და როგორც ამბობენ, საკმაოდ სპეციფიკური გემური თვისებებითაა გამორჩეული, რაც, პრინციპში, გასაკვირი სულაც არ არის.

გარდა ამისა, ხავსის ღვინოსთან დაკავშირებით ცნობილია ისიც, რომ სასმელი ჯანმრთელობისთვის უაღრესად სასარგებლოა, ვინაიდან ხავსი უამრავ ვიტამინს, მინერალს, მარილებსა და პროტეინებს შეიცავს, ნივთიერებებით, რომლებიც ადამიანის იმუნური სისტემის გამტკიცებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს ორიგინალური სასმელი თურმე, საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ერთი ბოთლი ხავსის ღვინო საშუალოდ 30 აშშ დოლარი ღირს და რეკომენდებულია იაპონურ კერძებთან დასაგემოვნებლად.

– ღვინო ფიჭვის ფისისგან – მორიგი უჩვეულო სახეობის ღვინო პოპულარული საბერძნეთშია. ის ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე დიდი




რეგიონის ატიკას ტრადიციების მიხედვით მზადდება, რომელიც ჩვეულებრივი ყურძნისგან დამზადებულ სასმელში საკმაოდ საინტერესო ნივთიერების დამატებას გულისხმობს – ატიკელი ბერძნები ღვინოში ფიჭვის ფისს ურევენ.

ჩვეულებრივ, ასეთი ღვინო სავატიანოს ჯიშის ყურძნისგან მზადდება, რომელიც პარნესის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოგარენში მოდის. ფერმენტაციამდე „ჭეშმარიტების სითხეში“ მცირე რაოდენობით ფიჭვის ფისის დამატება ხდება, რაც მას უჩვეულო არომატს ანიჭებს.

ამბობენ, ღვინოს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავსო, თუმცა არც იმდენი, რომ ტრადიციული წესებით დამზადებულ სასმელს ჩრდილი მიადგეს.

– შხამიანი ღვინო – ესე იგი, გავიგეთ, რომ თურმე, არსებობს ფორთოხლის, ხავსის, ფისის ღვინოები, რასაც დავამატებთ, რომ სავსებით შესაძლებელია, შეხვდეთ, მაგალითად, ქლიავის, მსხლის, ვაშლისა და სხვა ხილის არომატის მქონე სასმელებსაც, მაგრამ აი, შხამიანი გველი კი მართლაც მეტისმეტია და ალბათ, ჩვენს გაკვირვებას თქვეც გაიზიარებთ, ძვირფასო მკითხველო.

როგორც ირკვევა, შხამიანი გველი ღვინოში პირველებმა ვიეტნამელებმა დაამატეს, თუმცა მოგვიანებით სასმელმა უდიდესი პოპულარობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშიც ჰპოვა.

გველი, როგორც ღვინის მთავარი ინგრედიენტი ფასდება არა, მაგალითად, ხორცის, არამედ შხამის გამო, რომელიც, ცხადია, იმგვარადაა დამუშავებული, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის არავითარ საფრთხეს არ შეიცავს.

შხამიანი გველის გარდა, ტექნოლოგები აზიის ქვეყნებიდან ღვინოში ასევე ამატებენ შხამიან ობობებსა და ხვლიკებს, რითიც, როგორც ამტკიცებენ, სასმელი განუმეორებელ არომატს იძენს.

– „თოლიას ღვინო“ – ასე ეწოდება ღვინოს, რომელსაც ინუიტები, კანადელი ესკიმოსები ამზადებენ. უცნაური სასმელის რეცეპტი ასეთია: მკვდარ თოლიას ინუიტები წყლით სავსე ჭურჭელში ათავსებენ და რამდენიმე დღით ისეთ ადგილას დგამენ, სადაც მზის სხივები ეცემა.



ევროპელები, რომლებსაც წილად ხვდათ „ბედნიერება“, კანადელი ესკიმოსების ღვინო დაეგემოვნებინათ, მის გემოზე ამბობენ:

– ავტომობილის კარბურატორი რომ ახადოთ და იქ დარჩენილი სითხე შესვათ, აი, მაშინ მიხვდებით, რას წარმოადგენს „თოლიას ღვინო“...

მოდით, არც ფორთოხლის, არც ხავსის და არც მკვდარი გველებისა და თოლიების ღვინო არ გვინდა და რაც უფალმა გვიწყალობა ვაზის სახით, იმას მივხედოთ, არ ავჩეხოთ და არ გავანადგუროთ!..

**copypast.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ქალების საჯდომებისთვის თვალის შევლების სიყვარული ნარკოდამოკიდებულებას შეადარეს



დაე, ვიყოთ ასეთი ნარკომანები, რა მოხდა მერე?! მით უმეტეს, რომ „წამალი“ უფასოა და რაც მთავარია, არც ჯანმრთელობას ვნებს...

ამერიკაში ცნობილ და ავტორიტეტულ ნევროლოგს ბენჟამენ ჰეიდენს თუ დავუჯერებთ, მამაკაცებისთვის ქალების საჯდომებისა და სხეულის სხვა მადისაღმძვრელი ნაწილების შეთვალიერება ტვინზე დაახლოებით ისეთ გავლენას ახდენს და ისეთსავე მიჩვევას იწვევს, როგორც ეს ნარკოტიკების შემთხვევაში ფიქსირდება.

როგორც ირკვევა, კვლევის ფარგლებში ჰეიდენი მამაკაცების თავის ტვინის აქტიურობას აკვირდებოდა, როცა ისინი „თვალს წყალს ალევინებდნენ“ და მიმზიდველ ქალებს ათვალიერებდნენ.

აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტის დროს ტვინის სწორედ ის ნაწილები აქტიურდებოდა, რომლებიც მოქმედებაში ნარკოტიკების მიღების დროს მოდიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტი ასკვნის, რომ ქალის საჯდომი მამაკაცის ტვინზე სწორედ ნარკოტიკივით მოქმედებს. ამასთანავე, ანალოგიურ რეაქციებს იწვევს მკერდის შეთვალიერებაც.

მოკლედ, „ნარკომანო“ მამაკაცებო, გისურვებთ, ასეთი „ნარკოტიკი“ არასოდეს მოგკლებოდეთ!..

შეგახსენებთ, რომ გარკვეული პერიოდის წინ უკვე მოგიყევით, რომ დაახლოებით ანალოგიური დასკვნა გამოიტანეს შვედმა მეცნიერებმა, რომლებმაც ნარკოდამოკიდებულებას კოცნა შეადარეს. კოცნის დროს ტვინის კვლავაც ის ნაწილები აქტიურდება, რომლებიც რეაქციას გამაბრუებელ საშუალებებზე ავლენენ.

**marieclaire.com**

## მკერდზე ძილის წამალწასმული მეძავი კლიენტებს ჯიბეებს უსუფთავებდა



იმდენგვარი იარაღი არსებობს ადამიანის მწყობრიდან გამოსაყვანად, ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ასეთი მიზნით ფაშფაშა მკერდის გამოყენებამ კი ნამდვილად უსაზღვროდ გაგვაკვირვა.

როგორც ირკვევა, ესპანეთის პოლიციამ დააკავა მეძავი, რომელიც მკერდს ძილის წამლით იპოხდა, მადის აღმძვრელ ორგანოსთან კლიენტებს ყველასთვის ნაცნობი მეთოდით „ამეგობრებდა“, თიშავდა და შემდეგ პირწმინდად ძარცვავდა.

პოლიციის მტკიცებით, ერთი მამაკაცი ძილის წამლის დიდი დოზების მიღების გამო გარდაიცვალა კიდეც. თავად მეძავი ჩადენილ დანაშაულებს კი აღიარებს, მაგრამ მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს.

ცნობილია, რომ 35 წლის მეძავი ძირითადად მადრიდში საქმიანობდა და რამდენიმე ასეული მამაკაცი ჰყავს გაქურდული, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო პოლიციაში ჩივილს ერიდებოდნენ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელმაც ჯიბეების ამოცარიელება არ მოითმინა.

**metro.co.uk**

## ყველა თანამედროვე ადამიანი... მუტანტია?!



სათაური კი, ცოტა არ იყოს, უცნაური გამოდის, მაგრამ ვიდრე გახარებული წამოიძახებდეთ – ხომ ვამბობდი, ჩემი მეზობელი კოტე მთლად დაწყობილი არ უნდა იყოსო, მანამდე კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარების მოსაზრებას ბოლომდე გაეცანით.

ჰოდა, აი, რას ამბობენ ინგლისელი მეცნიერები – მათი აზრით, ყველა თანამედროვე ადამიანი მუტანტია, რადგან მშობლებისგან მემკვიდრეობითი მიღებული ინფორმაცია ახალი დეენემის ფორმირებისას მუტაციას დაახლოებით 200-ჯერ მაინც განიცდის.

– მათი უმეტესობა ადამიანის ორგანიზმს, საბედნიეროდ, საფრთხეს არ უქმნის, თუმცა ზოგიერთებს სერიოზული დაავადებების ჩამოყალიბება შეუძლიათ, – ამბობენ კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტები.

ვიდრე ინგლისელები აღნიშნულ მოსაზრებას გაახმაურებდნენ, მათ ერთმანეთის შორეული ნათესავი ორი ჩინელი მამაკაცის იგრეკ ქრომოსომები შეისწავლეს და მხოლოდ 12 სხვაობის აღმოჩენა შეძლეს, რომელთაგან რვა მუტაციის შედეგად იყო ჩამოყალიბებული. რაც შეეხება დარჩენილ ოთხ სხვაობას, ისინი მეტ-ნაკლებად ნამდვილები, ანუ წინაპრისგან გამოყოლილები გამოდგნენ.

**medportal.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. სოფელი დუშეთის რაიონში
2. დოსტოევსკი. „ძმები ...“
3. საბჭოთა კლოუნი
4. იტალიელი ფერმწერი
5. კანის ინფექც. დაავადება
6. წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
7. აღორძინების ეპოქა
8. თავად-აზნაურულ. წოდება ინგლისში
9. ყურძნის ჯიში
10. მდინარე გერმანიაში
11. პიანისტი სვიატოსლავ ...
12. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში
13. თვითმფრინავების სადგომი
14. მზის საათი მოედანზე
15. სავანის ბინადარი ცხოველი
16. წყალქვეშა კლდე
17. მოკრივე მაიკლ ...
18. მინა ცალი თვალის ფოსოში
19. მსახიობი ... თურმანი
20. სახელის პირველი ასო
21. ჭამის სურვილი
22. სფეროს ფორმის წამალი
23. სხარ-ტულა ლექსი
24. ფიგურული ჭრა ხეზე
25. იანის საპირისპირო
26. თუთიყუშის სახეობა
27. ყვავის ბარტყი
28. სიო
29. გასასვლელი მდინარეზე
30. სავლე საავადმყოფო
31. დაბა იმერეთის მხარეში
32. მეანის თანაშემწე
33. მსახიობი ... ნილი
34. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
35. იტყვიან გამხდარ ადამიანზე
36. დაბა დუშეთის რაიონში
37. მსახიობი ... ჰეპბერნი
38. გერდას მეგობარი ბიჭუნა
39. მხ/ფ „ციკრის ...“
40. საეკლესიო კრება
41. სამშენებლო მასალა
42. მწვანე მინერალი
43. შუბის წვეტი
44. ნადირობის ქალღმერთი
45. ნადირობა აფრიკაში
46. ციებ-ცხელება
47. ბრომში ადამიანის პროფილით
48. მულტფილმი „... დამაცადე“
49. დიდი ქვა
50. რადიოლოკატორი
51. მისი დედაქალაქია სოფია
52. ვერნი. „საიდუმლო ...“
53. იაპონური ხალათი
54. მომღერალი ... ჯორჯი
55. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
56. ხერხემლის ძვალი
57. სამშობლოს მონატრება
58. დანა, კოვზი და ...
59. სპორტ. ინვენტარის ფირმა
60. ათკაპიკიანი ძველად
61. მეცნიერება თევზების შესახებ
62. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
63. უფულოდ ნაღებული საქონელი
64. ზევსის მერიქიფე
65. ძვლების დაავადება
66. ქალაქი აშშ-ში
67. თხევადი ლითონი
68. მოგზაური ტიმ ...
69. მწვანილების კონა
70. ზღვის ფრინველი
71. მსახიობი ია ...
72. მსახიობი ... რობერტსი
73. რეჟისორი ... კუროსავა
74. ძველებური იალქნიანი გემი
75. მომღერალი ... ვაიკულე
76. „ილიადა“ ავტორი
77. მსახიობი ... რუსო
78. ქათმის საკვები
79. ყვავილი
80. ლითონი
81. რუსი ილუზიონისტი
82. მისი დედაქალაქია რაბატი
83. ფეხბურთის „მეფე“
84. ხელოვნური ვარცხნილობა
85. მხატვარი კლოდ ...
86. რიცხვი ექვსი ნულით
87. ნიანგის სახეობა
88. კომპოზიტორი ... კორსაკოვი
89. მისი დედაქალაქია ტალინი
90. მწერალი ... ტოლსტოი
91. ციხე-ქალაქი კახეთში
92. ზამბახი
93. არქიტექტორი, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა
94. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
95. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
96. რუს მეფეთა დინასტია
97. ბილიარდის ჯოხი
98. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
99. ჯონათან სვიფტის გოლიათი
100. შვედური ხურდა ფული
101. მსახიობი შერონ ...
102. კომპოზიტორი ... კვერნაძე
103. მდინარე აფრიკაში
104. სახსრების დაავადება ... ქარი
105. ქალაქი პოლონეთში
106. ფრინველის სადგომი
107. თევზის კვერცხები
108. მეტყველების ორგანო
109. მამიდადი
110. ტილის კვერცხი
111. გოგოლის მოთხრობა
112. ნახტომი ... მორტალე
113. მსახიობი ... დელონი
114. რეჟისორი ... ლი
115. დიდი და ხშირი ტყე
116. პინოქიოს ავტორი
117. თეფში ფინჯნის ქვეშ
118. ერთიანი ნარდში
119. დადებითი ელექტროდი
120. ცხენბურთი
121. მწერალი არტურ კონან ...
122. ვენეციელი მენავეების სიმღერა
123. მსახ. ... უიზერსპუნი
124. ნუსხა
125. ლარნაკი
126. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
127. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
128. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
129. ერთი ასაკის ადამიანები
130. რაიმეს სახელური
131. მხატვარი ედუარდ ...
132. პრეზიდენტი ბარაკ ...
133. ინგლისური ლუდი
134. ვარამი
135. ტყის სანიტარი ფრინველი
136. ძალა, ღონე
137. ნაყოფი ეკლიანი „ქურქით“
138. მხატვარი ... გრეკო
139. ახლადგამოჩეკილი ქათამი

პასუხები: 1. ბარისახო; 2. კარამაზოვები; 3. კარანდაში; 4. ტიციანი; 5. მუნი; 6. ფარგალი; 7. რენესანსი; 8. ლორდი; 9. ალადასტური; 10. რაინი; 11. რიხტერი; 12. ახალციხე; 13. ანგარი; 14. გნომონი; 15. ჟირაფი; 16. რიფი; 17. ტაისონი; 18. მონოკლი; 19. უმა; 20. ინიციალი; 21. მადა; 22. დრაჟე; 23. შაირი; 24. ინკრუსტაცია; 25. ინი; 26. კაკადუ; 27. ბახალა; 28. ნიავი; 29. ფონი; 30. ლაზარეთი; 31. ხარაგაული; 32. ბებიაქალი; 33. სემ; 34. ამური; 35. კაფანდარა; 36. ბაზალეთი; 37. ოდრი; 38. კაი; 39. ზარები; 40. სინოდი; 41. არმატურა; 42. მალაქიტი; 43. ბუნიკი; 44. დიანა; 45. საფარი; 46. მალარია; 47. კამეა; 48. აბა; 49. ლოდი; 50. რადარი; 51. ბულგარეთი; 52. კუნძული; 53. კიმონო; 54. ბოი; 55. გარიბალდი; 56. მალა; 57. ნოსტალგია; 58. ჩანგალი; 59. „ნაიკი“; 60. უზალთუნი; 61. იქთიოლოგია; 62. მექა; 63. ნისია; 64. განიმედი; 765. რაქიტი; 66. სიეტლი; 67. ვერცხლისწყალი; 68. სევერინი; 69. კონა; 70. თოლია; 71. ნინიძე; 72. ერიკ; 73. აკირა; 74. კარაველა; 75. ლაიმა; 76. ჰომეროსი; 77. რენე; 78. საკენკი; 79. ია; 80. სპილენძი; 81. კიო; 82. მაროკო; 83. პელე; 84. პარიკი; 85. მონე; 86. მილიონი; 87. გავიალი; 88. რიმსკი; 89. ესტონეთი; 90. ლევ; 91. გრემი; 92. ირისი; 93. რასტრელი; 94. დალი; 96. რომანოვი; 97. კიი; 98. ინდონეზია; 99. გულივერი; 100. ერე; 101. სტოუნი; 102. ბიძინა; 103. ნილოსი; 104. ნიკრისის; 105. ლოძი; 106. ბუდე; 107. ქვირითი; 108. ენა; 109. ნადი; 110. წილი; 111. „ვიი“; 112. სალტო; 113. ალენ; 114. ენგ; 115. ტევრი; 116. კოლოდი; 117. ლამბაქი; 118. იაქე; 119. ანოდი; 120. პოლო; 121. დოილი; 122. ბარკაროლა; 123. რიზ; 124. სია; 125. ვაზა; 126. სამოა; 127. გვირაბი; 128. მარიონეტი; 129. თაობა; 130. ტარი; 131. მანე; 132. ბარაკ; 133. ელი; 134. დარდი; 135. კოდალა; 136. სიქა; 137. წაბლი; 138. ელ; 139. წიწილა. იკითხება: სიმინდი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



## ნანა ჩხაიძის გახსენება

ჩვენო ნანა, რა უცბად გაირბინა უშენ-ოდ ერთმა წელმა.

დღეს, 18 სექტემბერს, ერთი წელი შესრულდა, რაც ყველა გაოგნებული დაგვტოვე. გვაკლია შენი მხიარული, კეთილი და სანდომიანი ღიმილი. შენ იყავი პიროვნება შინაგანი სულიერი სამყაროთი, სიკეთის თესვით, მეგობრებით, ნათესავებით, მეზობლებით.

სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე მწარე არაფერი ყოფილა. ძალიან დააკლდი საყვარელ ოჯახს (რომელსაც თავი შესწირე პატიოსანი ცხოვრებით), ნათესავებს, მეგობრებს. წახვედი და გაიყოლე აუხდენელი ოცნებები.

ძალიან გვიჭირს უშენოდ. შენდამი მონატრება არასდროს გაგვინელდება.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი და უბოროტო სული. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა კი გაგინათოს მარადიული სასუფეველი.

**შენი საყვარელი ოჯახი**

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## შემთხვევითმა გამვლელმა მეშვიდე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა



ეს უაღრესად საინტერესო ამბავი შვედეთის ქალაქ ჰეტებორგში სულ ახლახან მოხდა – შემთხვევითმა გამვლელმა მეშვიდე სართულიდან გადმოვარდნილი 6 წლის ბავშვი დაჭერა და მისი გადარჩენა შეძლო!

როგორც ირკვევა, აივნის კიდეზე გადამძვრალი ბავშვი გამვლელებმა დაინახეს და ადგილზე მაშინვე მაშველები გამოიძახეს, თუმცა სანამ მათ სპეციალური მოწყობილობების გამართვა მოასწრეს, ბავშვი გადმოვარდა კიდეც.

რომ არა იქვე შემთხვევით გამვლელი მამაკაცის რეაქცია, ცხადია, შემთხვევა საშინელი შედეგებით დასრულდებოდა.

მართალია, დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილმა ბავშვმა სხეულის დაზიანებები მაინც მიიღო და მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო, მაგრამ, რაც მთავარია, ის გადარჩა და სულ მალე, სახლში დაბრუნებასაც შეძლებს.

*lenta.ru*

## ადამიანმა-ტატუმ სვირინგი თვალებშიც გაიკეთა



ამერიკელი მეტ გოუნი, რომელიც მსოფლიოში უფრო ცნობილია, როგორც ადამიანი-ტატუ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა, რადგან მან სხეულის ის ერთადერთი ნაწილიც მოიხატა, რომელსაც ამ დრომდე სპეციალური საღებავი არ შეხებია.

როგორც ირკვევა, მეტ გოუნმა ტატუ თვალებშიც გაიკეთა და ერთი თვალი ცისფრად შეიღება, მეორე კი – მწვანედ.

ამ დრომდე გოუნს სვირინგებით სხეულის 98 პროცენტი ჰქონდა დაფარული, მორიგი ძალიან საშიში ნაბიჯით კი შეიძლება ითქვას, მას მოუხატავი თითქმის აღარც ერთი ორგანო აღარ დარჩა.

საინტერესოა, რომ ექიმები ადამიან-ტატუს კატეგორიულად აფრთხილებდნენ, რომ შესაძლოა, სპეციალური საღებავის თვალში შეყვანას სრული სიბრმავე ან რთული ინფექციების გამოწვევა მოჰყოლოდა, თუმცა ექსცენტრიკულმა ამერიკელმა მათ რჩევას ყურიც კი არ დაუგდო.

პირველი ტატუ მეტ გოუნმა 22 წლის წინათ გაიკეთა და მას შემდეგ სხეულის მოხატვას დღემდე აგრძელებს, რათა ბავშვობისდროინდელი დეფექტები დაიფაროს, რომლებიც იმის გამო წარმოექმნა, რომ კუნთები არასწორად განუვითარდა.

*eg.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**18 სექტემბერი:** შეეცადეთ, დარწმუნდეთ, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო შანსს არ უშვებთ ხელიდან და მოქმედება ამის შემდეგ დაიწყეთ. თუ ამაში დღეს ვერ გაერკვევით, ხვალამდე დაიცადეთ.

**კურო 22.04-21.05**
**18 სექტემბერი:** ყურადღებით დააკვირდით და დარწმუნდით, რომ გარშემომყოფთა მოქმედებები დაფუძნებულია რეალურ ცოდნასა და არა ვარაუდებზე.

**ტყუპები 22.05-21.06**
**18 სექტემბერი:** შეიძლება საკმაოდ შფოთიანი დღე იყოს, მაგრამ თქვენი ძალისხმევა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მთავარია, ირწმუნოთ, რომ ყველაფერი გამოვა.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**18 სექტემბერი:** საეჭვოა, დღეისთვის დაგეგმილი საქმეების ნაწილი მაინც გამოგივიდეთ. გული არ გაიტეხოთ, რის გამოც მოცდებით, საკმაო სიამოვნებას მოგანიჭებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**18 სექტემბერი:** შეიძლება საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი შეგეპაროთ, მაგრამ სანერვიულო არაფერია. უსაქმოდ არ დარჩებით, რადგან იმპროვიზაციის უჩვეულო ნიჭს გამოავლენთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**18 სექტემბერი:** თუ დღეს რამე ხეირიანი გინდათ გააკეთოთ, ოცნებებს შეეშვით და რეალობას დაუბრუნდით. ახლობლებს ძალიან დასჭირდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**18 სექტემბერი:** საუკეთესო დღეა, საიმისოდ, რომ თქვენთვის ძვირფას ადამიანთან ურთიერთობა საბოლოოდ გაარკვიოთ და გაუგებრობებს წერტილი დაუსვათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**18 სექტემბერი:** გარშემომყოფებთან საუბარში ბევრ ისეთ რამეს მოისმენთ, რაც ადრეც უნდა გცოდნოდათ. როგორი მოუცლელიც არ უნდა იყოთ, სასაუბროდ დრო გამონახეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**18 სექტემბერი:** ყველაზე დიდ სიამოვნებას იმის შეგრძნება მოგანიჭებთ, რომ საქმეს წარმატებით გაართვით თავი. ამის შესაძლებლობა გაქვთ. ასე რომ იმოქმედეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**18 სექტემბერი:** შეიძლება დაუპატიჟებელი სტუმრები გეწვიონ. წინასწარ მოემზადეთ ამისთვის, რომ უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**18 სექტემბერი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს უფლება მისცეთ და ქცევის საზოგადოდ მიღებული წესებიდან ცოტათი გადაუხვიოთ. არ იფიქროთ მოსალოდნელ შედეგებზე, ცუდი არაფერი მოხდება.

**თევზები 19.02-20.03**
**18 სექტემბერი:** როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რაღაც საიდუმლო დღესაც გამჟღავნდება. დღის მთავარი თემა ეს იქნება და საინტერესო ამბებს გაიგებთ.

## 65 წლის დედამ კარატე 22 წლის ვაჟის დასაცავად ისწავლა



დედობრივი ინსტინქტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გრძნობა თუ მოვლენაა ნებისმიერ ცოცხალ არსებაში და ცხადია, ადამიანშიც. ფოტოზე, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე მამაც და მოსიყვარულე დედას ხედავთ, მთლად მთელ მსოფლიოში თუ არა, რუსეთში მაინც, რადგან 65 წლის ვალენტინა ივანოვამ კარატე იმის გამო შეისწავლა, რომ 22 წლის ვაჟი ვალენტინი დაეცვა.

რუსული მედიის ინფორმაციით, რატომღაც, ვალენტინმა თანატოლებთან საერთო ენა ვერაფრით გამონახა, რის გამოც, უამრავჯერ გაილახა და სულ მალე სახლიდან გარეთ გასვლასაც კი ვეღარ ბედავდა.

ვალენტინა ივანოვას სხვა გზა აღარ დარჩა და გადაწყვიტა, კარატე შეესწავლა და ხულიგნებისთვის თავ-პირი დაენგრია. ჰოდა, სულ რაღაც წელიწად-ნახევარში გმირმა დედამ კარატეს ილეთები ისეთ დონეზე შეისწავლა, რომ ერთ დღესაც შვილის მჩაგვრელი 4 ახალგაზრდა ყმაწვილი ისე სცემა, სიკვდილის პირას მიიყვანა.

მართალია, ვალენტინა ივანოვას წინააღმდეგ ხულიგნობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ, როგორც ადვოკატი ამტკიცებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ძალადობაზე მხოლოდ იძულებით წავიდა.

*thg.ru*

## პაციენტის თავში „სვერლოს“ ჩატოვებისთვის, საავადმყოფო 300 ათასი დოლარით დააჯარიმეს



უცნაურია არა მხოლოდ ის, როგორ ჩარჩათ ქირურგებს პაციენტის თავში ბურღი, არამედ ისიც, როგორ აღმოჩნდა ბურღი პაციენტის თავში...

როგორც ირკვევა, პაციენტის თავის ქალაში ბურღის ჩატოვებისთვის ამერიკული საავადმყოფო 300 ათას აშშ დოლარს გადაიხდის.

ოპერაცია როდ-აილენდის კლინიკაში მიმდინარე წლის აგვისტოში ჩატარებულა – 60 წლის პაციენტს ტვინის სიმსივნის დიაგნოზი ჰქონდა დასმული და ქირურგიული ჩარევაც ამის გამო გადაწყდა.

უსაფრთხოების ზომების თანახმად, ტვინზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ პაციენტს აუცილებლად უნდა ჩატარებოდა რენტგენი, თუმცა ექიმებმა მოთხოვნა არ შეასრულეს და უპატიებელი შეცდომაც დაუშვეს. ნაცვლად იმისა, რომ პაციენტი გამოჯანმრთელებულიყო, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან ოპერაციის დროს ბურღს მდებარეობა უფრო სახიფათო მიმართულებით შეუცვლია.

ბოლოს და ბოლოს, შეცდომა გაირკვა, რის გამოც პაციენტმა კლინიკის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა და საქმე სულ ახლახან მოიგო – კომპენსაციის სახით ის 300 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

როგორ აღმოჩნდა პაციენტის თავში ბურღი, არ ზუსტდება.

*securitylab.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



საავადმყოფოში მისულ კოტეს ნაცნობი შეხვდა:
– აქ რას აკეთებ?
– რა ვიცი, ბავშვები მოვიყვანე და...
– რა დაემართათ?
– ჭადრაკს თამაშობდნენ წკიპურტებზე... ჰოდა, ერთს ტვინის შერყევა აქვს, მეორემ თითი მოიტეხა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40